პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 299 (5100) | ხუთშაბათი, 30 დეკემბერი 1937 წ. | ფასი 10 კაპ.

> ...მეგობრობა სსრ კავშირის ხალხთა შორის—დიდი და სერიოზული მონაპოვარია. ვინაიდან სანამ ეს მეგობრობა არსებობს, ჩვენი ქვეყნის ხალხები თავისუფალი და უძლეველი იქნებიან. არავინ არ არის ჩვენთვის საშიში, არც შინაური და არც გარეშე მტრები, სანამ ეს მეგობრობა ცოცხლობს და დღეგრძელობს.
>
> ი. სტალინი

სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის 15 წლისთავი

მძლავრი საბჭოთა ხალხის ძმური ოჯახი

დღეს სრულდება 15 წელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიადი კავშირის შექმნის ისტორიული დღიდან.

1922 წლის 30 დეკემბერს საბჭოების სრულიად-საკავშირო პირველმა ყრილობამ, რომელსაც ესწრებოდნენ რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიისა და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა დელეგატები, ერთსულოვნად მიიღო დადგენილება სსრ კავშირის დაარსების შესახებ. ამ დადგენილებით ყრილობამ სავსებით გამოხატა ნება-სურვილი ამ რესპუბლიკათა მრავალეროვანი ხალხებისა, რომლებმაც ამაზე ადრე, თავიანთ ყრილობებზე მიიღეს დადგენილება საბჭოთა რესპუბლიკების ერთ მთლიან, მძლავრ პროლეტარულ სახელმწიფოდ — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად გაერთიანების შესახებ.

რას წარმოადგენდა ჩვენი ქვეყანა იმ დროს?

სსრ კავშირის შექმნის პერიოდი— ეს იყო ახალი ეკონომიური პოლიტიკის—ნეპ-ის პირველი, დასაწყისი პერიოდი, როცა საბჭოთა ხელისუფლებამ დაუშვა კაპიტალიზმის ერთგვარი გამოცოცხლება სოციალიზმის ყოველმხრივ განვითარებასთან ერთად, რათა მეურნეობის კაპიტალისტურ და სოციალისტურ სისტემათა შეჯიბრების მსვლელობაში განემტკიცებინა სოციალიზმის პოზიციები, მიეღწია კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციისათვის და დაემთავრებინა სოციალისტური სისტემის, როგორც სახალხო მეურნეობის ძირითადი სისტემის, საბოლოო გამარჯვება.

ჩვენი მრეწველობა მაშინ, როგორც ამხანაგი სტალინი ამბობს, წარმოადგენდა მეტად არასახარბიელო სურათს, იგი ემყარებოდა ძველ ჩამორჩენილ ტექნიკას და ჯერ კიდევ ვერ მიეღწია თავისი პროდუქციის ომამდელ დონემდე.

კიდევ უფრო არასახარბიელო სურათს წარმოადგენდა ჩვენი სოფლის მეურნეობა, რომელიც მოგვაგონებდა წვრილ ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა თვალუწვდენ ოკეანეს თავისი ჩამორჩენილი შუასაუკუნოებრივი ტექნიკით. კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი სუსტნი იყვნენ, ხოლო კულაკების კლასი ჯერ კიდევ საკმაოდ მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა.

ჩვენი ქვეყანა იმ დროს ახლად გამოსული იყო მძაფრი სამოქალაქო ომისა და შიმშილობის წლებიდან, ხოლო გარედან თავდასხმის საფრთხე კვლავ დღის წესრიგში იდგა.

„ეს იყო პერიოდი, როცა ხალხებს შორის ურთიერთობანი ჯერ კიდევ არ იყო წესიერად მოგვარებული, როცა ჯერ კიდევ არ იყო გამქრალი ველიკორუსებისადმი უნდობლობის ნაშთები, როცა ცენტრიდანული ძალები ჯერ კიდევ განაგრძობდნენ მოქმედებას. საჭირო იყო ამ პირობებში მოგვეგვარებინა ხალხთა ძმური თანამშრომლობა ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო ურთიერთდახმარების ბაზაზე, მათი ერთ საკავშირო მრავალეროვან სახელმწიფოდ გაერთიანებით. საბჭოთა ხელისუფლებას არ შეეძლო არ დაენახა ამ საქმის სიძნელენი. მის თვალწინ იყო ბურჟუაზიულ ქვეყნებში მრავალეროვან სახელმწიფოთა მარცხით დამთავრებული ცდები. მის თვალწინ იყო ძველი ავსტრია-უნგრეთის მარცხით დამთავრებული ცდა. და მაინც მიმართა მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის ცდას, ვინაიდან მან იცოდა, რომ სოციალიზმის ბაზაზე წარმოშობილმა მრავალეროვანმა სახელმწიფომ უნდა გაუძლოს ყველა და ყოველგვარ განსაცდელს“ (სტალინი).

ახლა, საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის შექმნის 15 წლისთავზე, მთელი მსოფლიო ხედავს, რომ სოციალიზმის ბაზაზე მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის ცდამ ბრწყინვალედ გაიმარჯვა.

ლენინ-სტალინის პარტიის მტკიცე და განუხრელი ხელმძღვანელობის შედეგად სსრ კავშირის ხალხებმა მოიპოვეს ჭეშმარიტად მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებანი სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე. ჩამორჩენილობის, სიბნელისა და უკულტურობის ქვეყნიდან, სიღატაკისა და უუფლებობის ქვეყნიდან, როგორიც იყო ძველი რუსეთი, ჩვენი ქვეყანა მოწინავე, კულტურულ და მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ გადაიქცა.

სსრ კავშირში სამუდამოდ ლიკვიდირებულია მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა და მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. ორი ხუთწლედის ძლევამოსილად დამთავრების შედეგად შექმნილია თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი პირველხარისხოვანი მრეწველობა და მსხვილი კოლექტიური სოფლის მეურნეობა; უმაგალითო აღმავლობას განიცდის მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება; განუწყვეტლივ უმჯობესდება მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობა.

ჭეშმარიტად მსოფლიო - ისტორიული მნიშვნელობის წარმატებას, რომელსაც ჩვენმა ქვეყანამ ბოლშევიკთა დიადი პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწია, წარმოადგენს სსრ კავშირის მრავალეროვან ხალხთა ურთიერთნდობა, ძმური კავშირი და მეგობრული თანამშრომლობა.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხალხები ურღვევი სტალინური მეგობრობით გაერთიანებული არიან ერთიან, მძლავრ განუყრელ სოციალისტურ ოჯახად, და არ არსებობს ბუნებაში ძალა, რომელსაც შეეძლოს სსრ კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობის შერყევა. ეს არის ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ტრიუმფი!

სსრ კავშირის არსებობის 15 წლისთავზე, მძლავრი საბჭოთა ხალხი, ისე როგორც არასოდეს, შემჭიდროვებულია ლენინ - სტალინის დიადი პარტიის ირგვლივ, ხალხთა დიდი ბელადის, ამხანაგ სტალინის ირგვლივ. საბჭოთა ხალხის ამ უმაგალითო ერთიანობის ბრწყინვალე დადასტურებას წარმოადგენდა ხალხის ის უდიდესი ერთსულოვნება და დარაზმულობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების ისტორიულ დღეს — 1937 წლის 12 დეკემბერს; ამ დღეს მთელმა საბჭოთა ხალხმა ხმა მისცა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, ხმა მისცა ბოლშევიკების პარტიას.

ამავე ერთსულოვნების ბრწყინვალე დადასტურებას წარმოადგენენ გენიალური რუსთაველის დაუვიწყარი საიუბილეო დღეები, რომლებსაც ერთნაირი აღფრთოვანებით შეხვდა სსრ კავშირის უკლებლივ ყველა ხალხი.

სტალინური კონსტიტუციის მზით გამთბარ ქვეყანაში თვითეული ხალხისათვის შექმნილია ბედნიერი და საამური ცხოვრების პირობები. ყოველი დღე ახალი სიხარულის მომტანია, ცხოვრება სდუღს და გადმოდის. და სოციალიზმის ქვეყნის მშრომელთა გული აღვსილია უდიდესი მადლობისა და სიყვარულის გრძნობით, თავგანწირული ერთგულებით იმისადმი, ვინც დიდ ლენინთან ერთად იყო ორგანიზატორი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიადი კავშირისა, ვინც მიიყვანა ჩვენი ქვეყნის მშრომელნი ბედნიერ და საამურ ცხოვრებამდე და ვისი ბრძნული ხელმძღვანელობითაც მრავალეროვანი საბჭოთა ქვეყანა ძლევამოსილად განაგრძობს წინსვლას ახალ-ახალი ბრწყინვალე გამარჯვებებისაკენ, — ხალხთა საყვარელი ბელადის და მასწავლებლის, დიდი სტალინისადმი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სიმტკიცე და შეურყევლობა, საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ურღვევი ერთიანობა ცოფსა ჰგვრის ხალხის მტრებს, ფაშიზმის აგენტებს — ტროცკისტ-ბუხარინელ ნაბოლარებს და ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს. ეს საზიზღარი არსებანი არავითარ სისაძაგლეს არ ერიდებიან იმისათვის, რომ ჩამოაშორონ ცალკეული რესპუბლიკები ხალხთა ძმურ ოჯახს — სსრ კავშირს, რათა შეარყიონ სოციალიზმის ქვეყნის ძლიერება. მაგრამ ეს არ გაუვიდათ და არც არასოდეს გაუვათ! სსრ კავშირის ხალხთა დიადი სტალინური მეგობრობა ის მიუვალი გრანიტის კლდეა, რომელზედაც ცხვირპირს დაიმტვრევენ ხალხის ყველა ჯურის მტრები. „სანამ ეს მეგობრობა არსებობს, ჩვენი ქვეყნის ხალხები თავისუფალი და უძლეველი იქნებიან. არავინ არ არის ჩვენთვის საშიში, არც შინაური და არც გარეშე მტრები, სანამ ეს მეგობრობა ცოცხლობს და დღეგრძელობს“ (სტალინი).

გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა სტალინურ მეგობრობას!

დიდება და გამარჯვება ამ მეგობრობის შემქმნელს, ხალხთა გენიოს ბელადს — დიდ სტალინს!

შოთა რუსთაველის ძეგლის საძირკვლის ჩაყრა სუხუმში

28 დეკემბერს სუხუმის ახალ სკვერში შესდგა მშრომელთა მიტინგი და საძირკველი ჩაეყარა შოთა რუსთაველის ძეგლს. მიტინგზე გამოვიდა აფხაზეთის ასსრ ცაკ-ის თავმჯდომარის მოვალეობის აღმასრულებელი, უზენაესი საბჭოს დეპუტატი ამხ. რაფავა. მან აღნიშნა შოთა რუსთაველის შემოქმედების განსაკუთრებული გავლენა აფხაზური ლიტერატურის განვითარებაზე.

მიტინგმა უდიდესი აღფრთოვანებით ჩაიარა. მიტინგზე გამოსულნი ლაპარაკობდნენ ქართველი და აფხაზი ხალხის განუყრელ მეგობრობაზე, როგორც ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სწორად განხორციელების შედეგზე.

ორატორთა მგზნებარე სიტყვების საპასუხოდ გაისმოდა მქუხარე აღფრთოვანებული მისალმებანი ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის პატივსაცემად, ერთგული სტალინელის ამხანაგ ლ. პ. ბერიას პატივსაცემად.

> „დღიდან საბჭოთა რესპუბლიკების დაარსებისა მსოფლიოს სახელმწიფონი გაითიშნენ ორ ბანაკად: ერთია კაპიტალიზმის ბანაკი, მეორე — სოციალიზმის ბანაკი.
>
> იქ, კაპიტალიზმის ბანაკში გაბატონებულია ეროვნული შუღლი და უთანასწორობა, კოლონიალური მონობა და შოვინიზმი, ნაციონალური ჩაგვრა და რბევა, იმპერიალისტური მხეცობა და ომები.
>
> აქ, სოციალიზმის ბანაკში—ურთიერთშორის ნდობა და მშვიდობიანობა, ნაციონალური თავისუფლება და თანასწორობა, ხალხთა მშვიდობიანი თანაცხოვრება და ძმური თანამშრომლობა“.
>
> (დეკლარაციიდან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაარსების შესახებ).



მისასალმებელი დეპეშა ამხანაგ სტალინისადმი,

მიღებული საფრანგეთის კომპარტიის IX ყრილობის მიერ

არლი, 27 დეკემბერი (საკდესის სპეცკორი). გუშინ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მე-9 ყრილობამ განსაკუთრებული ენთუზიაზმის ვითარებაში მიიღო ამხანაგ სტალინისადმი მისასალმებელი დეპეშის ტექსტი.

„საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მეცხრე ყრილობა, — ნათქვამია დეპეშაში, — ძმურ სალამს უთვლის დიდ ამხანაგ სტალინს. ყრილობა მიესალმება ამხანაგ სტალინს, სოციალისტური საზოგადოების შემოქმედს, ყველა ქვეყნის ჩაგრულ ხალხთა საყვარელ ბელადს, მშვიდობიანობის დამცველს და ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის უკვდავ შემოქმედს. ყრილობა მიესალმება ამხანაგ სტალინს, ლენინის ყველაზე ერთგულ მიმდევარს, ბოლშევიკების პარტიის ნაცად, მედგარ ბელადს, რომელმაც ხალხის მტრების წინააღმდეგ, ტროცკისტი აგენტების — საერთაშორისო ფაშიზმის ჯაშუშების წინააღმდეგ დაუზოგავ ბრძოლაში შესძლო უზრუნველეყო სსრკ ყოველი მოქალაქისათვის შრომის, დასვენების, განათლების უფლება. ყრილობა მიესალმება ამხანაგ სტალინს — საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ურღვევი ერთიანობის შემოქმედს.

ყრილობა აღნიშნავს, რომ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირი ატარებს მშვიდობიან თანმიმდევარ პოლიტიკას, განამტკიცებს თავის სამრეწველო და სამხედრო ძლიერებას, სოლიდარობას იჩენს რესპუბლიკურ ესპანეთის მიმართ და ამნაირად ხელს უწყობს მსოფლიო ომის საშინელებათა აცილებას.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მეცხრე ყრილობა კისრულობს ვალდებულებას იაროს თავისუფლებისა და მშვიდობიანობის იმ გზით, რომელიც ლენინმა და სტალინმა გაიკვლიეს.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს რესპუბლიკურ საფრანგეთს!

გაუმარჯოს მშვიდობისმოყვარე ხალხთა კავშირს!

გაუმარჯოს ბოლშევიკების სრულიად-საკავშირო კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!“

ყრილობა, ფეხზე ამდგარი, დიდხანს და მქუხარედ უკრავს ტაშს ამხანაგ სტალინისადმი მისალმების ტექსტის მიღების გამო.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს

თურქმენიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მხურვალე სალამს უძღვნის თქვენი სახით ქართველ ხალხს და მიულოცავს მას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ჩამოყალიბების 15 წლისთავს. სოციალისტური თურქმენია ღრმად დარწმუნებულია, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიად კავშირში, კომუნისტური პარტიისა და ხალხთა ბელადის, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, ყველა ხალხი და მათ შორის ქართველი ხალხიც კიდევ მეტი წარმატებით განავითარებენ თავის საწარმოო ძალებს, საბოლოოდ გაანადგურებენ ყველა მიმალული კლასობრივი მტრის — ტროცკისტების, მემარჯვენეების, ბურჟუაზიული ნაციონალისტების მტრულ ბუდეებს, და სსრ კავშირის ხალხთა დიადი ოჯახი წარმატებით გასწევს წინ, კომუნიზმის სრულ გამარჯვებამდე.

გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა მრავალერიანი სოციალისტური სახელმწიფოს ხალხთა დიად მეგობრობასა და ძმობას!

გაუმარჯოს ბოლშევიკთა სრულიად-საკავშირო კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს ხალხთა დიდ ბელადს, ამხანაგ სტალინს!

თურქმენიის სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
ხივალი ბაბაევი

თურქმენიის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ხუდაი ბერგენოვი**

გაიხსნა გამოფენა „შოთა რუსთაველი და მისი ეპოქა“

29 დეკემბერს საქართველოს მუზეუმის შენობაში გაიხსნა საიუბილეო გამოფენა „შოთა რუსთაველი და მისი ეპოქა“.

გამოფენის ლიტერატურული განყოფილების ვრცელ დარბაზში შეიკრიბნენ სსრკ-ის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის რუსთაველის პლენუმის მონაწილენი, რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის წევრები, პარტიული, საბჭოთა, პროფესიული, მუშათა საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, უნივერსიტეტის, რუსთაველის ინსტიტუტისა და სხვა სამეცნიერო ინსტიტუტების, მეცნიერებათა აკადემიის ფილიალის პროფესორები და მეცნიერი მუშაკები, თბილისის თეატრთა მსახიობები, მხატვრები, მოსწავლე ახალგაზრდობა.

საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსთან არსებულ რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის სახელით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის კულტურისა და განათლების განყოფილების გამგე, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. კ. ჩარკვიანი. თავის სიტყვაში ამხ. კ. ჩარკვიანმა აღნიშნა, რომ ამ გამოფენაზე მნახველთ შეუძლიათ დაწვრილებით გაიცნონ შოთა რუსთაველის შემოქმედება იშვიათ ხელნაწერებში, ბეჭდვით გამოცემებში, თარგმანებში და სხვ., აგრეთვე გაეცნონ იმ ეპოქის ხელოვნებას, ყოფაცხოვრებას, ეკონომიკას, რომელშიც ცხოვრობდა დიდი ქართველი პოეტი.

— ჩვენმა დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა,—სთქვა ამხ. ჩარკვიანმა, გვასწავლა ჩვენ ფასი ისტორიის იარაღისა და მისი გამოყენების უნარი. მიიღო რა ეს მხედველობაში, საიუბილეო კომიტეტი ამხანაგ ლ. პ. ბერიას ინიციატივით შეუდგა გამოფენის სამზადისს, მობილიზაცია უყო კულტურულ, სამეცნიერო ძალებს. გამოფენა მზად არის. იგი შეიცავს სამ დიდ განყოფილებას: ყოფაცხოვრებისა და კულტურისას, ხელოვნებისას და ლიტერატურისას.

ამხ. ჩარკვიანმა აღნიშნა დიდი ნაშრომი პროფ. ი. ა. ჯავახიშვილისა, პ. ი. ინგოროყვასი, პროფ. გ. ნ. ჩუბინაშვილისა და მათი თანამშრომლებისა გამოფენის განყოფილებათა მოწყობისა და გაფორმების საქმეში.

ამის შემდეგ ამხ. კ. ჩარკვიანმა გახსნილად გამოაცხადა გამოფენა „შოთა რუსთაველი და მისი ეპოქა“.

ზეიმის მრავალი მონაწილენი დაიყვნენ ჯგუფებად და შეუდგნენ გამოფენის დათვალიერებას.

ის ჯგუფი, რომელშიც სტუმართა შორის შედიოდა სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ვ. სტავსკი, შეუდგა ყოფაცხოვრებისა და კულტურის განყოფილების დათვალიერებას. ამ ჯგუფს საფუძვლიან ახსნა-განმარტებას აძლევდა განყოფილების ხელმძღვანელი პროფ. ი. ა. ჯავახიშვილი.

გამოფენა მთლიანად განსაკუთრებით დიდებულ შთაბეჭდილებას სტოვებს. იგი სავსეა გულმოდგინედ და სისტემატურად შერჩეული ექსპონატებით, რომლებიც შესაძლო სისრულით ასახავენ გენიალური პოეტის ეპოქას. (საქდესი).

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ტს—

ამხანაგ ლ. ბერიას

საქართველოს სსრ ცაკ-ს—

ამხანაგ ფ. მახარაძეს

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს—

ამხანაგ გ. ბაქრაძეს

„ვეფხის-ტყაოსნის“ გენიალური შემოქმედის, უკვდავი პოეტის შოთა რუსთაველის 750 წლისთავის იუბილეს დღეებში ორდენოსანი აზერბაიჯანის მუშები, კოლმეურნეები და მშრომელი ინტელიგენცია მხურვალე სალამს უძღვნიან გმირ, მოძმე ქართველ ხალხს. ზეიმით, სიხარულით აღინიშნება რუსთაველის დღეები საბჭოების მთელ დიად ქვეყანაში. საუცხოოდ და აღმაფრთოვანებლად ჟღერს რუსთაველის ლექსი ყველა ენაზე და ყველა ხალხისათვის. ქართველი ხალხის სანუკვარი ფიქრები და იმედები გამოხატა თავისი პოემით გენიალურმა შოთამ, ადამიანთა ბედნიერებისა და სიხარულის მგზნებარე მეხოტბემ, სიმამაცის, ვაჟკაცობისა და სილამაზის მეხოტბემ, ჰუმანიზმის, სამშობლოს უსაზღვრო ერთგულების, ხალხთა თავისუფლებისა და ურღვევი მეგობრობის მეხოტბემ.

შოთა რუსთაველის იუბილე — ეს არის ჩვენი ძალის, სოციალიზმის ქვეყნის ძალის მკაფიო დემონსტრაცია. რუსთაველის იუბილე — ეს არის ზეიმი ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვებისა, ვინაიდან მხოლოდ ლენინ-სტალინის პარტია, რომელიც განუწყვეტლივ ზრუნავს სსრ კავშირის ხალხთა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარებაზე, უდიდესი სიყვარულითა და სიფრთხილით იცავს ხალხური ხელოვნების მარგალიტებს, შეაქვს ისინი გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის კულტურის საერთო საგანძურში. შოთა რუსთაველი განსაკუთრებით ძვირფასი და მახლობელია აზერბაიჯანელი ხალხისათვის იმით, რომ იგი ცხოვრობდა და ჰქმნიდა აზერბაიჯანული მხატვრული სიტყვის კლასიკოსების — ნიზამისა და ხაგანის შემოქმედების აყვავების ეპოქაში. მათთან ერთად, აზერბაიჯანელი ხალხის უკვდავ მგოსნებთან ერთად, შოთა რუსთაველი ხოტბას ასხამდა ძმობას, მეგობრობასა და ადამიანთადმი სიყვარულს, რის განხორციელებაც შესაძლებელი გახდა მხოლოდ ახლა, ბედნიერ სტალინურ ეპოქაში.

შვიდი საუკუნის მანძილზე მძიმე გაჭირვებებსა და განცდებში გამოატარა ქართველმა ხალხმა თავისი გულით შოთა რუსთაველის სახელი. ყველა დროის ფეოდალ-ხუცესი მოციქულნი ბნელეთისა და დამპყრობნი, ქართველი ხალხის საზიზღარი მოღალატეები — მენშევიკები, ტროცკისტ-ბუხარინელი და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ბარბაროსები ყოველნაირად ემუქრებოდნენ ქართული კულტურის უდიდეს ძეგლს, ყოველნაირად ცდილობდნენ დაემცირებინათ რუსთაველის გენიალური პოემის ნამდვილი მნიშვნელობა და ღირებულება. ქართველმა ხალხმა შეინახა და რეაქციულ ძალთაგან დაიცვა ეს უკვდავი ქმნილება.

შოთა რუსთაველი — გენიალური შვილი ბედნიერი ქართველი ხალხისა, რომელმაც კაცობრიობას მისცა დიდი **სტალინი,** — ეკუთვნის სსრ კავშირის ყველა ხალხს! მსოფლიო კულტურის წინაშე სახელოვანი ქართველი ხალხის უდიდესი დამსახურებით გამოწვეული უსაზღვრო სიხარულისა და სიამაყის გრძნობით, ამ ხალხის უდიდესი პოეტური გენიით გამოწვეული სიამაყის ძმური გრძნობით აღნიშნავენ საბჭოთა აზერბაიჯანის მუშები, კოლმეურნეები და მშრომელი ინტელიგენცია შოთა რუსთაველის პოემის დაწერის 750 წლისთავს. რუსთაველის სახელი არასოდეს არ მოკვდება აზერბაიჯანელი ხალხის გულში, ხალხისა, რომელიც ძლევამოსილად აშენებს კომუნიზმს სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით. შოთა რუსთაველის ლექსი, ყველა მშრომელისათვის მახლობელი და გასაგები, არასოდეს არ შესწყვეტს ჟღერას სსრ კავშირის ხალხთა ენებზე.

გაუმარჯოს სახელოვან, მოძმე ქართველ ხალხს!

გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა სტალინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს ლენინურ-სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკას, რომელიც უზრუნველჰყოფს სსრ კავშირის ხალხთა კულტურის არნახულ აყვავებას!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის გმირულ პარტიას და მის ბრძენ ბელადს, კაცობრიობის გენიას, ქართველი ხალხის დიდ შვილს **იოსებ სტალინს!**

აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი
მ. ჯ. ბაგიროვი

აზერბაიჯანის სსრ ცაკ-ის თავმჯდომარის მოვალეობათა აღმსრულებელი **მ. გ. კასუმოვი**

აზერბაიჯანის სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ტ. ი. კულიევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირი—მძლავრი მრავალერიანი სოციალისტური სახელმწიფო

სსრ კავშირის საბჭოების პირველი ყრილობის 15 წლისთავი

15 წლის წინათ, 1922 წლის 30 დეკემბერს სსრ კავშირის საბჭოების პირველმა ყრილობამ ამხანაგ სტალინის მოხსენების გამო დაამტკიცა რუსეთის სფს რესპუბლიკის, უკრაინის სს რესპუბლიკის, ბელორუსიის სს რესპუბლიკის და ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის საბჭოების ყრილობების მიერ მიღებული ხელშეკრულება ამ ოთხი სახელმწიფოს საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანების შესახებ. ისტორიულ „დეკლარაციაში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ", რომელიც ყრილობამ მიიღო, ნათქვამი იყო:

„საბჭოთა რესპუბლიკების ხალხთა ნება-სურვილი, რომლებიც ამასწინათ შეიკრიბნენ თავიანთი საბჭოების ყრილობებზე და ერთსულოვნად მიიღეს გადაწყვეტილებანი „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის" შექმნის შესახებ, საიმედო საწინდარია იმისა, რომ ეს კავშირი წარმოადგენს თანასწორუფლებიან ხალხთა ნებაყოფლობით გაერთიანებას, რომ თვითეული რესპუბლიკისათვის უზრუნველყოფილია კავშირიდან თავისუფლად გასვლის უფლება, რომ კავშირში შესვლა შეუძლია ყველა სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას, როგორც არსებულს, ისე იმათაც, რომლებიც მომავალში შეიქმნებიან, რომ ახალი საკავშირო სახელმწიფო იქნება ხალხთა მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და ძმური თანამშრომლობის საფუძვლების ღირსეული დაგვირგვინება, რომლებიც ჯერ კიდევ 1917 წლის ოქტომბერში იქნა ჩაყრილი, რომ იგი გახდება საიმედო დასაყრდენი მსოფლიო კაპიტალიზმის წინააღმდეგ და ახალი გადამწყვეტი ნაბიჯი მსოფლიო სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკად ყველა ქვეყნის მშრომელთა გაერთიანების გზაზე.

ვაცხადებთ რა ყოველივე ამას მთელი მსოფლიოს წინაშე, და საჯაროდ აღვიარებთ რა საბჭოთა ხელისუფლების საფუძვლების ურყეობას, რომლებმაც თავისი გამოხატულება ჰპოვეს ჩვენი მარწმუნებელი სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კონსტიტუციებში, ჩვენ. ამ რესპუბლიკების დელეგატები. ჩვენთვის მოცემულ რწმუნებათა საფუძველზე, ვადგენთ ხელი მოვაწეროთ ხელშეკრულებას „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის" შექმნის შესახებ".

ლენინი და სტალინი აღაფრთოვანებდნენ და ხელმძღვანელობდნენ მთელს უდიდეს მუშაობას მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს შესაქმნელად.

ჯერ კიდევ დიადი სოციალისტური რევოლუციის დიდი ხნით ადრე ლენინმა და სტალინმა შეიმუშავეს და დაასაბუთეს ბოლშევიკთა პარტიის პროგრამა ნაციონალურ საკითხში. მტკიცედ ემყარებოდა რა ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის პრინციპებს, თანამიმდევრობით ატარებდა რა ცხოვრებაში ამ პოლიტიკას, საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე აიღო კურსი იმისაკენ, რომ მოეწყო „მთელი რიგი ეროვნებებისა და ტომების საერთო თანაცხოვრება ერთიანი პროლეტარული სახელმწიფოს ჩარჩოებში ურთიერთნდობის საფუძვლებზე, ნებაყოფლობითი, ძმური თანხმობის საფუძვლებზე". (სტალინი. „საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა ნაციონალურ საკითხზე რუსეთში").

მეფის რუსეთი იყო ნამდვილი „ხალხთა საპატიმრო". (ცარიზმის ნაციონალური პოლიტიკა მიმართული იყო ნაციონალური შუღლის გაღვივებისაკენ, ეროვნებათა მხეცურად დათრგუნვისა და თავშეუკავებელი ექსპლოატაციისაკენ. (ცარიზმი განზრახ ავითარებდა ნაციონალური განაპირა მხარეების სამეურნეო და კულტურულ ჩამორჩენილობას. არარუს ეროვნებათა მშრომელები ჰგმინავდნენ რუსეთის კაპიტალისტთა და მემამულეთა და „საკუთარი" ნაციონალური ბურჟუაზიის, ემირების, ხანების, ბეგების, სამღვდელოების საშინელი ორმაგი უღლის ქვეშ.

ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ დაამსხვრია ნაციონალური ჩაგვრისა და უთანასწორობის ბორკილები. „საბჭოთა წყობილების დამყარებამ რუსეთში და ერთა სახელმწიფოებრივი გამოყოფის უფლების გამოცხადებამ ძირფესვიანად შესცვალა დამოკიდებულება რუსეთის ეროვნებათა მშრომელ მასებს შორის, ძირი გამოუთხარა ძველ ეროვნულ მტრობას, ნიადაგი გამოაცალა ნაციონალურ ჩაგვრას და რუსეთის მუშებს მოუპოვა სხვა ეროვნების მათი ძმების ნდობა არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპაშიც და აზიაშიც, აიყვანა ეს ნდობა ენტუზიაზმამდე, მზად ყოფნამდე იბრძოლონ საერთო საქმისათვის" (სტალინი. „ნაციონალურ საკითხში პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ").

სსრ კავშირის ხალხთა ძმური კავშირი მტკიცდებოდა და ვითარდებოდა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ყველა ეროვნების მშრომელთა საერთო ბრძოლაში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, სამოქალაქო ომის ფრონტებზე საკუთარი და საერთაშორისო ბურჟუაზიის შეერთებულ ძალთა წინააღმდეგ, გმირულ ბრძოლაში ორი ომის მიერ დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის, სტალინური ხუთწლედების განხორციელებისათვის.

„რევოლუციის პირველ პერიოდში,—როგორც რკპ (ბ) XII ყრილობამ აღნიშნა, — როდესაც ეროვნებათა მშრომელმა მასებმა პირველად იგრძნეს თავი დამოუკიდებელ ნაციონალურ ერთეულებად, იმ დროს, როდესაც უცხოეთის ინტერვენციის საფრთხე ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა რეალურ საშიშროებას,—ხალხთა თანამშრომლობას ჯერ კიდევ არ ჰქონდა სავსებით გარკვეული. მტკიცედ ჩამოყალიბებული ფორმა". მაგრამ უკვე 1918 წლის დამლევისათვის ვითარებამ მოითხოვა საბჭოთა ხალხების კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომლობა, ვინაიდან მათ მოუხდათ შეერთებული ძალით ბრძოლა თეთრგვარდიელთა და ინტერვენტთა დიდძალი შეიარაღებული ურდოების წინააღმდეგ, რომლებიც ძველმა სამყარომ გაავთრებით მიუსია ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკებს. ბელორუსიის, უკრაინის, კავკასიის ხალხები მიისწრაფოდნენ კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომლობისაკენ დიდ რუს ხალხთან, რუსეთის სფს რესპუბლიკასთან—სოციალისტური რევოლუციის ამ ციტადელთან,—ვინაიდან ასეთ თანამშრომლობაში მდგომარეობდა კონტრრევოლუციის შეიარაღებულ ძალებზე გამარჯვების საწინდარი. ბუნებრივია, რომ ამ პერიოდში, როდესაც პირველ რიგში იდგა თეთრგვარდიელებთან და ინტერვენტებთან შეიარაღებული ბრძოლის ამოცანები, ნაციონალური საბჭოთა რესპუბლიკების თანამშრომლობამ სამხედრო კავშირის სახე მიიღო. საბჭოთა რესპუბლიკების სამხედრო კავშირმა ბურჟუაზიისა და მემამულეების შეიარაღებულ ძალთა განადგურება გამოიწვია, გამარჯვება მოუტანა მუშებსა და გლეხებს სამოქალაქო ომის ყველა ფრონტზე.

სამხედრო ფრონტების ლიკვიდაციისდაკვალად ყველა ეროვნების მშრომელთა წინაშე პირველ რიგში ისახებოდა სამეურნეო მშენებლობის ამოცანები, მძიმე სამეურნეო ნგრევის, როგორც ორი ომის—იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების მემკვიდრეობის ლიკვიდაციის ამოცანები. ვითარება მოითხოვდა, რომ საბჭოთა რესპუბლიკების სამხედრო კავშირი შევსებულიყო სამეურნეო კავშირით.

რუსეთის სფს რესპუბლიკის, უკრაინის სს რესპუბლიკის, ბელორუსიის სს რესპუბლიკისა და ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის გაერთიანება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად, როგორც რკპ (ბ) XII ყრილობამ აღნიშნა,—გახდა „თანამშრომლობის იმ ფორმების განვითარების საბოლოო ეტაპი, რომლებმაც ამ შემთხვევაში მიიღეს ერთიან მრავალეროვან საბჭოთა სახელმწიფოდ ხალხთა სამხედრო-სამეურნეო და პოლიტიკური გაერთიანების ხასიათი". („საკ. კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციების და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში", გვ. 591).

საბჭოების X სრულიად-რუსეთის, ხოლო შემდეგ სრულიად-საკავშირო I ყრილობის ტრიბუნიდან ამხანაგმა სტალინმა თავის ისტორიულ მოხსენებებში გენიალური გამჭრიახობით დაასაბუთა რესპუბლიკებს შორის ძველი სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან ერთიანი საკავშირო საბჭოთა სახელმწიფოს შექმნაზე გადასვლის აუცილებლობა.

ერთ საკავშირო სახელმწიფოდ საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების აუცილებლობას, როგორც აღნიშნავდა ამხანაგი სტალინი, გვიკარნახებდა ჯერ ერთი ის, რომ საჭირო იყო დაგვერაზმა საბჭოთა რესპუბლიკების ძალები სამეურნეო ნგრევის ლიკვიდაციისათვის, გამოგვეყენებინა ქვეყნის ეკონომიური აღმავლობის ინტერესებისათვის ფედერაციის სხვადასხვა რაიონებსა და რესპუბლიკებს შორის შრომის ისტორიულად შექმნილი სამეურნეო განაწილება. „აი შრომის ეს განაწილება, რაც დამყარებულია ოლქებს შორის,—ამბობდა ამხანაგი სტალინი სრულიად-რუსეთის საბჭოების X ყრილობაზე,—არ შეიძლება ამოშლილ იქნას კალმის ერთი მოსმით: იგი ისტორიულად შექმნა ფედერაციის სამეურნეო განვითარების მთელმა მსვლელობამ და შრომის ეს განაწილება, რაც შეუძლებელს ხდის ცალკეული რაიონების სრულ განვითარებას რესპუბლიკების ცალცალკე არსებობის დროს, ავალებს რესპუბლიკებს შემჭიდროვდნენ ერთ მთლიან სამეურნეო ერთეულად".

იმ გარემოებათა მეორე ჯგუფს, რომლებიც აიძულებდნენ რესპუბლიკებს დასდგომოდნენ გაერთიანების გზას, ამხანაგი სტალინი აკუთვნებდა იმას, რომ საჭიროა საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანებული სამხედრო, დიპლომატიური და ეკონომიური ფრონტი მთელი კაპიტალისტური სამყაროს წინაშე. პარტიისა და ხალხის დიდი ბელადი გვაფრთხილებდა, რომ, სამოქალაქო ომის ძლევამოსილად დამთავრების მიუხედავად, გარედან თავდასხმის საფრთხე არ გამქრალა, რომ ომის საფრთხის გარდა არსებობდა საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიურად და დიპლომატიურად იზოლირების საფრთხე.

დასასრულ გაერთიანების აუცილებლობა ნაკარნახევი იყო საბჭოთა ხელისუფლების ხასიათით, მისი კლასობრივი ბუნებით. „საბჭოთა ხელისუფლება ისეა აგებული,—ამბობდა ამხანაგი სტალინი,—რომ იგი, ინტერნაციონალური თავისი შინაგანი არსებით, ყოველნაირად ნერგავს მასებში გაერთიანების იდეას, თვითონ აყენებს მათ გაერთიანების გზაზე".

ახასიათებდა რა სსრ კავშირის საბჭოების I ყრილობის მსოფლიო ისტორიულ მნიშვნელობას, ყრილობისა, რომელმაც დაამტკიცა პროექტი „დეკლარაციისა" და „ხელშეკრულებისა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ", ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„დღევანდელი დღე არის ახალი რუსეთის გამარჯვების დღე, ახალი რუსეთისა, რომელმაც დაამსხვრია ნაციონალური ჩაგვრის ბორკილები, რომელმაც მოაწყო გამარჯვება კაპიტალზე, შექმნა პროლეტარიატის დიქტატურა, გამოაღვიძა აღმოსავლეთის ხალხები, რომელიც აღაფრთოვანებს დასავლეთის მუშებს, რომელმაც წითელი დროშა პარტიული დროშიდან სახელმწიფოს დროშად აქცია და ამ დროშის გარშემო თავი მოუყარა საბჭოთა რესპუბლიკების ხალხებს, რათა გააერთიანოს ისინი ერთ სახელმწიფოდ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად, მომავალ მსოფლიო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პროტოტიპად". (მოხსენება საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების შესახებ სსრ კავშირის საბჭოების პირველ ყრილობაზე).

1923 წელს 6 ივლისს სსრ კავშირის ცაკმა მიიღო სსრ კავშირის კონსტიტუცია, რომელსაც საფუძვლად დაედო „დეკლარაცია" და ხელშეკრულება სსრ კავშირის შექმნის შესახებ, მიღებული საბჭოების სრულიად-საკავშირო I ყრილობის მიერ. საბოლოოდ ეს კონსტიტუცია დამტკიცებულ იქნა 1924 წლის 31 იანვარს საბჭოების სრულიად-საკავშირო II ყრილობის მიერ. 1925 წელს სსრ კავშირის შემადგენლობაში შევიდა კიდევ უზბეკეთის სს რესპუბლიკა და თურქმენეთის სს რესპუბლიკა, ხოლო 1929 წელს ტაჯიკეთის სს რესპუბლიკა.

* * *

15 წელი, რომელიც გავიდა სსრ კავშირის საბჭოების I ყრილობის შემდეგ, სავსეა სსრ კავშირის ხალხთა შეუპოვარი გმირული მუშაობით და ბრძოლით სოციალისტური საზოგადოების აგებისათვის. სსრ კავშირის მშრომელებმა დიდი და ბრძენი ლენინურ-სტალინური ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, ტროცკისტ-ბუხარინელ გამცემელთა, ბურჟუაზიულ ნაციონალისტებისა და ხალხის სხვა მტერთა წინააღმდეგ უსასტიკეს ბრძოლაში ააგეს სოციალიზმი, საცოდავი და უძლური ქვეყანა გადააქციეს მძლავრ მდიდარ აყვავებულ სოციალისტურ სახელმწიფოდ, სადაც არ არის ჩაგვრა ადამიანისა ადამიანის მიერ, არ არის დაყოფა გაბატონებულ და ჩაგრულ ხალხებად.

სტალინურ ხუთწლედთა ძლევამოსილი განხორციელების, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სოფელში საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების შედეგად საბჭოთა ქვეყანა არნახულ აყვავებას განიცდის მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში.

მთელი საბჭოთა ქვეყნის სახალხო მეურნეობის სწრაფი აღმავლობის საერთო ფონზე განსაკუთრებით სწრაფად მიდის წინ ნაციონალურ განაპირა ქვეყნების მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის განვითარება. ლენინურ-სტალინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ უზრუნველჰყო წინათ ჩამორჩენილ ნაციონალურ რესპუბლიკათა ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპები, მათი გიგანტური სამეურნეო და კულტურული აღმავლობა.

ლენინ-სტალინის პარტიის სწორი პოლიტიკის მეოხებით გაქრა წინანდელი მტრობა და უნდობლობა ველიკორუსების მიმართ; ძმური მეგობრობის ძაფები აერთიანებს უკრაინელებს, ყაზახებს, ქართველებს, ყირგიზებს და სსრ კავშირის ყველა სხვა ხალხებს დიდ რუს ხალხთან, რომელიც, როგორც ხალხთა ძმურ ოჯახში თანასწორთა შორის პირველი, დახმარებას უწევდა წინათ ჩამორჩენილ ეროვნებებს, ეხმარებოდა მათ, რომ ამდგარიყვნენ ახალი ცხოვრებისათვის.

სსრ კავშირის ნაციონალური მშენებლობის შედეგები მკაფიოდ არის გამოხატული ამხანაგ სტალინის მოხსენებაში სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ საბჭოების საგანგებო VIII სრულიად-საკავშირო ყრილობაზე:

„შედეგად ჩვენ გვაქვს ახლა სავსებით ჩამოყალიბებული მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო, რომელმაც ყველა გამოცდას გაუძლო, რომლის სიმტკიცე შეეხარბება ყოველ ნაციონალურ სახელმწიფოს ქვეყნის ყოველ ნაწილში".

სტალინურმა კონსტიტუციამ განავითარა და განამტკიცა პრინციპები, რაზედაც დამყარებულია ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფო, რომელიც ამჟამად 11 მოკავშირე რესპუბლიკას აერთიანებს. სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებმა ცხადჰყო იმ ძმური კავშირის სიმტკიცე და ურღვევობა, რომელიც აერთიანებს სსრ კავშირის ხალხებს, ცხადჰყო მათი უსაზღვრო თავდადება ბოლშევიკური პარტიისა და მისი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი. მთელი საბჭოთა ხალხის მორალური და პოლიტიკური ერთიანობა, ყველა ეროვნების მშრომელთა პოლიტიკური აქტივობის უდიდესი ზრდა ნათლად გამომჟღავნდა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებში. კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კავშირის საბჭოს კანდიდატებს თავისი ხმები მისცა ყველა ხმის მიმცემთა 98.6 პროცენტმა, ეროვნებათა საბჭოს კანდიდატებს — 97,8 პროცენტმა.

არასოდეს არც ერთ მთავრობას მსოფლიოში არ მიუღია ასეთი ერთსულოვანი მოწონება თავისი პოლიტიკისა, არც ერთი მთავრობა არა ყოფილა დამყარებული ამომრჩეველთა ასეთ ოდენობაზე, როგორც საბჭოთა მთავრობა.

რაც უფრო მტკიცდება და მდიდრდება მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფო, მით უფრო გაავთრებული ხდება საერთაშორისო ბურჟუაზიის სიძულვილი მის მიმართ. ფაშისტი აგრესორები თავიანთ ძირგამომთხრელ მუშაობაში, რომელიც მიმართულია სსრ კავშირის წინააღმდეგ, ემყარებიან თავიანთ აგენტებს—ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს და ტროცკისტ-ბუხარინელ ბანდიტებს. თვალთმაქცობდნენ რა საზიზღრად, ინილბებოდნენ რა ჯამბაზურად, ფაშისტთა დაზვერვების საზიზღარი აგენტები იქით მიმართავდნენ თავიანთ ჯაშუშურ-მავნებლურ ტერორისტულ საქმიანობას, რომ ჩამოეშორებინათ სსრ კავშირისათვის უკრაინა, ბელორუსია, უზბეკეთი და სხვა ნაციონალური რესპუბლიკები, საჯიჯგნად მიეცათ ისინი უცხოელ დამპყრობთათვის, წაერთმიათ სსრ კავშირის ხალხებისათვის მათი ბედნიერი ცხოვრება, კვლავ დაედგათ მათთვის ბურჟუაზიულ-მემამულური ექსპლოატაციის უღელი. ეს არ მოხდება! ჩვენმა თვალმახვილმა საბჭოთა სადაზვერვო ორგანომ, რომელსაც ხელმძღვანელობს სტალინელი ნ. ი. ეჟოვი, აღმოაჩინა ხალხთა თანამეგობრობის ამ უბოროტესი მტრების უდიდესი დანაშაულებანი, რკინის ხელით გაანადგურა ჯაშუშურ - მავნებლური ბუდეები. დაემყარებიან რა მილიონობით ხალხთა მასებს, სახელოვანი შინსახკომელები ბოლომდე გაანადგურებენ ფაშიზმის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ და ტროცკისტ-ბუხარინულ დაქირავებულ აგენტებს. არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს შეარყიოს იმ მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება, რომელიც ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით მიდის ახალი სახელოვანი გამარჯვებებისაკენ.

საბჭოთა კავშირის ხალხები რეალურად გრძნობენ ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის კეთილისმყოფელ შედეგებს. ყველა ეროვნების მშრომელთა გული აღსავსეა მადლობითა და მხურვალე სიყვარულის გრძნობით ხალხთა სოციალისტური გამარჯვებებისა და თანამეგობრობის ბრძენი ორგანიზატორის—დიდი სტალინისადმი.

ლენინ-სტალინის დროშით შემდეგაც განმტკიცდება სსრ კავშირის ხალხთა ძმობა და მეგობრობა, გაიზრდება საბჭოთა ქვეყნის სიმდიდრე, საბჭოთა ქვეყნისა, რომელიც მთელი მსოფლიოს მშრომელთ უნათებს ჩაგვრისაგან, სიღატაკისა და უუფლებობისაგან განთავისუფლების გზას, გზას კომუნიზმის ბრწყინვალე მწვერვალებისაკენ. (საკდესი).

კულტურული საქართველო

თხუთმეტმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების I ყრილობამ მიიღო დეკლარაცია და ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაარსების შესახებ. ეს დღე ჩვენი ქვეყნის ბრძოლისა და შრომის ისტორიაში ოქროს ასოებითაა აღნიშნული. ამ დღიდან გავიდა სახელოვანი თხუთმეტი წელი და ჩვენს ქვეყანაში გაკეთდა ის, რაზედაც ასეული და ათასეული წლების განმავლობაში ოცნებობდნენ კაცობრიობის საუკეთესო ადამიანები. საბჭოთა კავშირის ხალხთა და მსოფლიო პროლეტარიატის დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა გენიალურად გამოხატა ჩვენი ქვეყნის მიღწევები, როცა თავის ისტორიულ მოხსენებაში საბჭოების საგანგებო VIII ყრილობაზე აღნიშნა:

„ჩვენმა საბჭოთა საზოგადოებამ მიაღწია იმას, რომ ძირითადად უკვე განახორციელა სოციალიზმი, შექმნა სოციალისტური წყობილება, ე. ი. განახორციელა ის, რასაც მარქსისტები სხვანაირად კომუნიზმის პირველ ანუ დაბალ ფაზას უწოდებენ".

ქართული ენა და კულტურა, რომელსაც მრავალი საუკუნის ისტორია აქვს, უცხოელი დამპყრობლების თავდასხმებისა და მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის შედეგად განადგურებამდე მივიდა. მეფის დამქაშები ქართულ ენას, გენიალური რუსთაველის ენას „ძაღლის ენას" უწოდებდნენ. ნადგურდებოდა ნაციონალური კულტურა.

ლენინ - სტალინის პარტიის ბრძნული ნაციონალური პოლიტიკის გატარების საფუძველზე მოისპო განაპირა ქვეყნების ძველი ჩამორჩენილობა, ეროვნებათა შორის შუღლი. მძლავრად გაიფურჩქნა საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნების სახალხო მეურნეობა და კულტურა. დიადი სტალინური მეგობრობა ურღვევად აკავშირებს საბჭოთა კავშირის ხალხებს. ლენინურ-სტალინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ გაიმარჯვა.

საქართველოს მრავალი ქარხნისა და კოლმეურნეობის გვერდით აღმართულია სასწავლებლები, თეატრები და სოციალისტური კულტურის სხვა სასახლეები. საქართველოში განვითარდა ფორმით ნაციონალური და შინაარსით ინტერნაციონალური კულტურა. ქართული ლიტერატურის კლასიკოსები ღირსეულად მხოლოდ საბჭოთა ხალხმა დააფასა. ჩვენს პირობებში შეიქმნა მძლავრი საბჭოთა ლიტერატურა. აღიზარდნენ მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატები, რომლებმაც თავიანთ ლექსებში, მოთხრობებში, რომანებში და პიესებში მაღალმხატვრული ოსტატობით ასახეს საქართველოს მუშათა და გლეხთა გმირული ბრძოლის ეპოპეა. ალიო მაშაშვილმა, პეტრე სამსონიძემ, ს. შანშიაშვილმა, სერგო კლდიაშვილმა დასწერეს სოციალისტური მშენებლობის შესახებ პოლიტიკურად მახვილი და მხატვრულად გამართული პიესები, რომლებიც დიდის წარმატებით დაიდგა რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსან თეატრში. კ. ლორთქიფანიძემ, გ. ლეონიძემ, ი. მოსაშვილმა, პ. სამსონიძემ, ს. ეულმა, ი. აბაშიძემ, ს. ჩიქოვანმა და სხვ. დასწერეს ლექსები და პოემები, რომლებშიც გამოხატულია ჩვენი დიადი სინამდვილე.

საქართველოს ბოლშევიკების ნაცადი ხელმძღვანელის ამხანაგ ლავრენტი ბერიას ისტორიულმა მოხსენებამ „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის" უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა ქართული ხელოვნების ყველა დარგის მუშაკებს შორის. ამ მოხსენებამ შთააგონა დრამატურგ შალვა დადიანს დაეწერა ბოლშევიკების წარსული ბრძოლის შესახებ ისეთი მნიშვნელოვანი პიესა, როგორიცაა „ნაპერწკლიდან". გერცელ ბააზოვმა დასწერა „იცკა რიჟინაშვილი" და სხვ. ქართველმა მხატვრებმა მრავალი ღირსშესანიშნავი ტილო შექმნეს ამიერ-კავკასიაში ამხანაგ სტალინის რევოლუციური მუშაობის შესახებ.

„სტალინური მზრუნველობა სსრ კავშირის ხალხთა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურების ყოველნაირად განვითარებაზე, — სწერს ამხანაგი ლ. პ. ბერია, — განსაკუთრებული სიცხადით გამოაშკარავდა მსოფლიო პოლიტიკისა და კულტურის გულში —მოსკოვში დიდი სტალინის ინიციატივით მოწყობილი ნაციონალურ ხელოვნებათა დეკადებით. საბჭოთა კავშირის ბედნიერ ხალხებს შესაძლებლობა ჰქონდათ ეჩვენებინათ აქ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებისათვის, დიდი ბელადისათვის თავისი შემოქმედებითი მიღწევები. ქართული ხელოვნების დეკადამ მოსკოვში, რომელმაც ნაწილობრივ გააცნო დიდი დედაქალაქის მშრომელებს ჩვენი მიღწევები ამ დარგში, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებისა და საბჭოთა საზოგადოებრიობისაგან მაღალი შეფასება მიიღო. შოთა რუსთაველის სახელობის თეატრმა და ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერის თეატრმა მიიღეს უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი".

ქართულმა მწერლობამ და ხელოვნებამ სსრ კავშირის ხალხების ყურადღება მიიპყრო. ოპერები „აბესალომ და ეთერი", „დაისი" და სხვ. საბჭოთა კავშირის მრავალი დიდი ქალაქის თეატრებში იდგმება. ამ უკანასკნელ წლებში გაიზარდნენ შესანიშნავი საგუნდო კოლექტივები, რომელთაგან განსაკუთრებით გამოირჩევიან აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გუნდები ორდენოსნების ს. კავსაძისა და კ. პაჭკორიას ხელმძღვანელობით. ქართული ხალხური შემოქმედება, რომელშიც ჩაქსოვილია ჩვენი დიადი ქვეყნის უსაზღვრო სიყვარული, გაიფურჩქნა და აყვავდა. ქართულ ცეკვას აღტაცებაში მოჰყავს მაყურებლები. მეჩონგურეთა ანსამბლები და ავტონომიურ რესპუბლიკათა და ოლქის მომღერალთა გუნდები დიდი წარმატებით მუშაობენ. საქართველოს თეატრებს სსრ კავშირის რესპუბლიკების თეატრებს შორის მოწინავე ადგილი უჭირავთ. დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის იუბილე მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთა ზეიმად გადაიქცა. მსოფლიო პროლეტარიატის ბელადების მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის ნაწარმოებებს ქართველები დედაენაზე სწავლობენ.

„მეფის თვითმპყრობელობა ძალმომრეობით ახშობდა მრავალსაუკუნოვან კულტურას" (ლ. ბერია). მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის ურყევად გატარების შედეგად, საქართველო მოწინავე კულტურის ქვეყნად გადაიქცა.

კლ. გოგიავა

ხალხთა ძმური თანამშრომლობის ბრწყინვალე გამარჯვება

მიხეილ ჭიაურელი

ორდენოსანი რეჟისორი, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატი

1922 წლის 30 დეკემბერი საბჭოთა ხელისუფლების ისტორიაში მუდამსახსოვარი თარიღია. ამ დღეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების I ყრილობაზე ამხანაგ სტალინის მოხსენების საფუძველზე დამტკიცებულ იქნა დეკლარაცია და ხელშეკრულება საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან კავშირში გაერთიანების შესახებ. შეიქმნა ერთიანი ძლიერი, მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო — უძლეველი სსრ კავშირი.

მეფის რუსეთისა და უბადრუკ მენშევიკთა, დაშნაკთა და მუსავატისტთა ხელისუფლების არსებობის დროს ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი მშრომელნი მწარედ იგონებენ. ეს მთავრობები ხელოვნურად, განზრახ აღვივებდნენ ეროვნებათა შორის შუღლსა და მტრობას. მენშევიკური მთავრობა მემამულეებთან, კაპიტალისტებთან, საზღვარგარეთელ ინტერვენტებთან ერთად სისხლისღვრით უსწორდებოდა მშრომელ ხალხებს საქართველოში, აღვივებდა ნაციონალურ შუღლს, აწყობდა საშინელ ხოცვა-ჟლეტას სომხებსა, ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის.

მენშევიკური ხელისუფლების თვალთმაქცობა და გაიძვერობა მე ავსახე კინოში, კინოფილმ „უკანასკნელ მასკარადში", რათა მათი უსირცხვილო სახე აშკარად დამენახვებინა მთელი ქვეყნიერებისათვის.

ბოლშევიკებმა გამოიყვანეს დაჩაგრული ხალხები კულტურული და ბედნიერი ცხოვრების გზაზე.

მეცნიერება, ლიტერატურა, თეატრი. ხელოვნება აყვავდა და გაიფურჩქნა ჩვენს რესპუბლიკაში. რა იყო მსახიობის, რეჟისორის, თეატრის მუშაკის ცხოვრება ძველად? როგორ უყურებდნენ მეფისა და უბადრუკი მენშევიკების ხელისუფლების დროს მათ! ხელოვნების მუშაკი უუფლებო ადამიანი იყო, რომელსაც არ ჰქონდა საშუალება მონაწილეობა მიეღო პოლიტიკურ ცხოვრებაში. მას დასცინოდნენ როგორც ჯამბაზს, ტიკინას. იგი მოკლებული იყო ოჯახურ სიამოვნებას, დასვენებას. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე მსახიობი, ხელოვნების მუშაკი დახეტიალობდა ქალაქიდან ქალაქში, რაიონიდან რაიონში მშიერ-მწყურვალი, მაგრამ ძველ დუხჭირ დროში მას ვერ ეპოვა (და არც შეიძლებოდა ეპოვნა) ადამიანური ცხოვრება, სიკეთე და ბედნიერება.

მეფისა და მენშევიკების ხელისუფლება გასაქანს არ აძლევდა შემოქმედ ადამიანს. განსაკუთრებით შებოჭილი იყო მეცნიერება, ლიტერატურა, თეატრი, ხელოვნება საქართველოში და მეფის რუსეთის სხვა კოლონიურ ქვეყნებში, აზერბაიჯანში, სომხეთში და სხვ.

თვითმპყრობელი რუსეთის ჩინოვნიკები შუღლს აღვივებდნენ რუსებსა, ქართველებსა, სომხებსა, აზერბაიჯანელებსა და სხვადასხვა ეროვნებების ხალხთა შორის, ახშობდნენ ნაციონალურ შემოქმედებითს ძალებს.

თეატრი, ხელოვნება, კინო ჩვენს ქვეყანაში ვითარდება ისე, როგორც არასოდეს. ხელოვნების მუშაკის წინაშე აღარა დგას ხვალინდელი დღის შიში. სწორედ დღეს ხელოვნების მუშაკი ცხოვრობს ნამდვილი ცხოვრებით. სტალინური ეპოქის მაცოცხლებელი სხივი ხელოვნების მუშაკთა გულშიაც ღრმად არის შეჭრილი და ათბობს, აღაგზნებს მას ახალი ცხოვრების შემოქმედებით. ხელოვნების მუშაკი მოქალაქეა, პოლიტიკური მოღვაწე. ხელოვნების მუშაკს უფლება აქვს იყოს ამომრჩეველი და არჩეულ იქნას. დღეს მას ირჩევენ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში, დღეს ის ირჩევს ხელისუფლებას.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭო, რომლის დეპუტატადაც მე ამირჩიეს, მოწოდებულია კიდევ უფრო განამტკიცოს საბჭოთა ხალხებს შორის მეგობრული, ძმური კავშირი. ლენინურ-სტალინური ინტერნაციონალური პოლიტიკის სწორად გატარებით კიდევ უფრო მეტი სიხარული და ბედნიერება შევიტანოთ საბჭოთა ხალხების ერთიან ოჯახში. განსაკუთრებით ჩვენ, უზენაესი საბჭოს დეპუტატები, მოწოდებული ვართ ამ დიადი და საპატიო საქმისათვის.

ხალხთა ძმური თანამშრომლობის 15 წელი

შალვა დადიანი

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატი

სწორედ ამ თხუთმეტი წლის წინათ, 30 დეკემბერს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების I ყრილობის დეპუტატები დაძაბული ყურადღებით უსმენდნენ ამხანაგი სტალინის მგზნებარე მოხსენებას საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების შესახებ.

ამ ყრილობის დეპუტატებს წილად ჰხვდათ ბედნიერება მონაწილეობა მიეღოთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაარსების დეკლარაციისა და ხელშეკრულების დამტკიცებაში და ამით გამხდარიყვნენ პირველი ინიციატორები საბჭოთა ხელისუფლების ახალი პერიოდის დაწყებისა. ეს დღე საბჭოთა ხელისუფლების ისტორიაში გარდატეხის დღეა. ამ დღიდან ჩვენი ქვეყანა სწრაფად იწყებს განვითარებას. სწრაფად მოხდა მოშლილი მეურნეობის აღდგენა-აყვავება... და აი 15 წლის თავზე საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელმაც მიიღო და ცხოვრებაში გაატარა სტალინური კონსტიტუცია, თავის ბრწყინვალე წარმატებებით მთელ ქვეყანას დაუმტკიცა, თუ რა დიდი ძალა აქვს ხალხთა ძმურ თანამშრომლობას. სსრ კავშირის ხალხებმა ძმური თანამშრომლობით, საერთო ძალებით ააშენეს, აალორძინეს და შექმნეს უძლეველი ქვეყანა. სსრ კავშირი, სადაც ცხოვრება საამურია და სასიხარულო, სადაც ძირფესვიანად აღმოფხვრილია ნაციონალური ჩაგვრა, სადაც ყველა რესპუბლიკებას ხალხები მჭიდროდ არიან დარაზმულნი ლენინ - სტალინის დროშის გარშემო, სულდგმულობს მხოლოდ ერთი აზრით, ერთი გულისთქმით: წარმატებით აშენოს კომუნისტური საზოგადოება.

სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე ჩატარებულ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებში სასახელოდ გაიმარჯვა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკმა. ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში მშრომელმა მასებმა ეს გამარჯვება საზეიმო დემონსტრაციებით აღნიშნეს. ეს გამარჯვება ყველაზე მეტად განვიცადეთ ჩვენ, არჩეულმა დეპუტატებმა. განა არის იმაზე დიდი სიხარული, ვიდრე ხალხმა გამოგიცხადოს ნდობა, თავის წარმომადგენლად აგირჩიოს და თავისი სურვილების შესრულება დაგაკისროს?

ახალმა არჩევნებმა ერთხელ კიდევ დაადასტურა სოციალიზმის ბაზაზე წარმოშობილი მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის ცდის დიადი გამარჯვება. ჩვენ აღფრთოვანებით ვესალმებით ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ამ ბრწყინვალე გამარჯვებას და მე, როგორც სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ვიძლევი სიტყვას, მთელი ენერგიით, უდიდესი ენტუზიაზმით გავშლი მუშაობას სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცებისათვის, ჩვენს სამშობლოში ბედნიერი ცხოვრების კიდევ უფრო აყვავებისათვის.

მოწინავე რესპუბლიკა

პროფ. ალ. მაჭავარიანი

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებამ ყოველ მხრივ ააყვავა და განავითარა სოციალიზმის უძლეველი ქვეყანა. ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ დაამსხვრია ნაციონალური ჩაგვრის ბორკილები. დიდი საბჭოეთის რესპუბლიკებში შეიქმნა ფორმით ნაციონალური და შინაარსით ინტერნაციონალური კულტურა. საბჭოთა კავშირში მცხოვრებ მთელ რიგ ხალხებს, რომლებსაც მეფის ბატონობის დროს არ ჰქონდათ დამწერლობა მშობლიურ ენაზე, რესპუბლიკების გაერთიანების შემდეგ შესაძლებლობა მიეცათ განევითარებინათ მშობლიური კულტურა.

ჩვენს ქვეყანაში ძირითადად აღმოფხვრილია წერა-კითხვის უცოდინარობა. ხალხი ბედნიერია, თავისუფლად სწავლობს, შრომობს და ჰქმნის სოციალისტურ დოვლათს. ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვების შედეგია ჩვენი დიდი მიღწევები კულტურისა და სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

საქართველო, რომელიც ახლა საბჭოთა კავშირის თერთმეტ რესპუბლიკას შორის კულტურის ბრწყინვალე მარგალიტად ანათებს, ამაყობს თავისი უდიდესი მიღწევებით. სხვა რესპუბლიკებთან ერთად საქართველო დღეს მოფენილია უმაღლესი სასწავლებლებით, სამკურნალო დაწესებულებებითა და საექიმო პუნქტებით.

ამხანაგი სტალინის ერთგული მოწაფის ამხანაგ ლავრენტი ბერიას დაულალავი ზრუნვის შედეგად აყვავდა და გაიფურჩქნა საქართველოს ფორმით ნაციონალური და შინაარსით ინტერნაციონალური ხელოვნება, განვითარდა მეცნიერება, ცხოვრება ბედნიერი და საამური გახდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი თერთმეტთაგანი

„...თვითმპყრობელი სრულიად-რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლანდიისა და სხვათა და სხვათა...“

ასე იწყებდა „მირონცხებული“ ტაკი-მასხარა ნიკოლოზ უკანასკნელი თავის „უკაზებს“ და ამ „სხვათა და სხვათაში“ გულისხმობდა იგი ათასწლოვანი კულტურის მქონე ერებს, მისი გენერლების ბინძური ჩექმებით გათელილთ. მგრამ არ ღირს ამ დროის გახსენება იგი სწამლავს ჩვენს მეხსიერებას და მას ვივიწყებთ, როგორც კოშმარს, ორთავიანი არწივის სახით მოლანდილს.

მემატიანემ ბოლოკაზმულობა გაუკეთა ისტორიის წინა ფურცელს და კაცობრიობის ისტორიის ახალ ფურცელზე, ოქტომბრის რევოლუციის დაუვიწყარ დღეებში ახალი თარიღი ამოქარგა:

1917 წელი, ოქტომბერი.

ის, რაზედაც საუკუნეთა განმავლობაში ოცნებობდნენ კაცობრიობის საუკეთესო ადამიანები, ის, რაზედაც ოცნებობდნენ ჩაგრული ერთა შვილები, უნდა შესრულებულიყო.

— თავისუფლება ჩაგრულთ, დამოუკიდებლობა და თავისუფლება ერებს.

ლენინ-სტალინის დიადმა პარტიამ გაახარა ჩაგრული კაცობრიობა. მაგრამ მჩაგვრელები არ აპირებდნენ ასპარეზიდან წასვლას და სისხლში ჩახრჩობით ემუქრებოდნენ თავისუფლებას. დაიწყო ბრძოლები. ისტორიას არ ახსოვს ჯერ ისეთი გამძაფრება, ულმობლობა და სისასტიკე, როგორიც იყო სამოქალაქო ომების დროს. ტყვიამფრქვევებით, შრაპნელებით და ურიცხვ მებრძოლთა სისხლით იკაფავდა გზას თავისუფლება სანუკვარ გამარჯვებამდე. პროლეტარული რევოლუციის ბასრი მახვილი მოჰკვეთდა დევს ერთ თავს და მყისვე მეორე თავი გამოჩნდებოდა. იუდენიჩებს კოლჩაკები სცვლიდნენ, დენიკინებს ვრანგელები, სკოროპადსკებს სემიონოვები და ასე დაუსრულებლივ ყველი მხრიდან და მიმართულებიდან მიიწევდნენ თავისუფლების ციტადელისაკენ — წითელი მოსკოვისაკენ საზიზღარ მაჯლაჯუნათა ურდოები.

ამ ურდოებმა დროებით დაიბნეს საქართველოს მზეც. ერთიმეორეს სცვლიდნენ თურქი, გერმანელი, ინგლისელი, იტალიელი და სხვა ჯურის მძარცველები.

მოდიოდნენ ისინი საქართველოში და ეპატრონებოდნენ ყველაფერს — რკინიგზებს, სტრატეგიულ გზებს, სამთამადნო სიმდიდრეებს, ყველაფერს, რითაც ცხოვრობდა მშრომელების საქართველო. ცარიზმის ჟანდარმთა ძალმომრეობა შესცვალა ინგლისელ, გერმანელ და სხვა იმპერიალისტთა მუშტმა.

ხალხში ბოღმა დაგროვდა. ხალხის გულისწყრომა იზრდებოდა და ხშირად ვულკანივით ამოხეთქავდა ხოლმე — ხან ლეჩხუმში, ხან დუშეთის მაზრაში, სამეგრელოში, სამხრეთ-ოსეთში და სხვა კუთხეებში. მენშევიკ-უზურპატორთა გვარდიელები ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდნენ ამ კუთხეებს, აწიოკებდნენ სოფლებს, ქალაქებს, კანონს გარეშე აცხადებდნენ მთელ მაზრებს. მაგრამ ვერ დააცხრეს რევოლუციური მოძრაობის აზვირთული ტალღა. ერთ ზამთრის დღეს, 1921 წლის 25 თებერვალს, ხალხმა ზღვის უფსკრულში გადასტყორცნა უზურპატორები. საქართველო გაანათა დიადი ოქტომბრის მზემ.

საქართველო ნამდვილად დამოუკიდებელი, თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრებისაკენ გზაგახსნილი. ასრულდა ხალხის სურვილი...

მაგრამ მტერი კვლავ ცოცხლობდა, იგი კბილებს ილესავდა და გადასაყლაპავად ემუქრებოდა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკებს. შავი ზღვის ფონზე აშკარად ჩანდა დასავლეთის იმპერიალისტური სვავის ველური თვალები, უკრაინის საზღვრისკენ სხვა სვავები იცქირებოდნენ, ციმბირისკენ სხვები და ასე ყოველი მხრიდან საბჭოთა რესპუბლიკები გარშემორტყმული იყვნენ ველურთა ურდოებით. მეორე მხრით, ქვეყნის შიგნით საჭირო იყო სამეურნეო მშენებლობის გაშლა, პური, სამრეწველო საქონელი, ტრაქტორები.

გაერთიანებული ძალით, შეერთებული ღონით შეეძლიათ საბჭოთა რესპუბლიკებს საშინაო და საგარეო სიძნელეთა დაძლევა. ეს შეიგნო ყველამ, ამაში დარწმუნდა ყოველი მშრომელი. 1922 წლის 30 დეკემბერს შესდგა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების წარმომადგენელთა ყრილობა და დაიდო ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაარსების შესახებ. რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები გაერთიანდნენ ერთ მთლიან უძლეველ ოჯახად. ყრილობამ მიიღო და დაამტკიცა ეს ხელშეკრულება, და მასთან დართული დეკლარაცია საბჭოთა კავშირის დაარსების შესახებ.

კაცობრიობის ისტორიაში ახალი ფურცელი გადაიშალა.

წაიკითხავენ მომავალი თაობები ჩვენი ეპოქის ისტორიას და აღნიშნავენ ბრწყინვალე თარიღებს. ერთ-ერთი ამ თარიღთაგანი იქნება 1936 წლის 5 დეკემბერი — სტალინური კონსტიტუციის მიღებისა და დამტკიცების დიადი დღე. იტყვიან ჩვენი შთამომავალნი, რომ ამ დღეს დაკანონდა საამური, ბედნიერი და შეძლებული ცხოვრება თერთმეტი თანასწორუფლებიანი რესპუბლიკის მშრომელებისა.

ერთი თერთმეტთაგანია საქართველო. ის საქართველო, რომელსაც წინათ „სიმინდის რესპუბლიკას“ ეძახდნენ, რომელიც მრავალჯერ გაძარცვეს ირანელმა, თურქმა, ბიზანტიელმა, რომაელმა, რუსმა და სხვა მპყრობელებმა. ის საქართველო, რომელიც გადაგვარების მიჯნამდე მიიყვანეს გადამთიელმა დამპყრობელებმა. საქართველო, რომელსაც მოუკლეს ილია ჭავჭავაძე, ართმევდნენ რუსთაველს, საქართველო გაძალტყავებული, უუფლებო და დაბეჩავებული მუშებისა და გლეხებისა.

საქართველო აღსდგა, აღორძინდა და აყვავდა. ჯერარნახული ბრწყინვალებით გამოიყურება საქართველოს დღევანდელი ცხოვრება. დიადმა ლენინ-სტალინის პარტიამ მიიყვანა საქართველო ამ ბედნიერ ცხოვრებამდე. და განა მარტო საქართველო? 11 რესპუბლიკა, ხელიხელჩაკიდებული დიადი კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით, დიდი სტალინის, საბჭოთა ხალხის შვილის და მისი ბელადის მეთაურობით, მივიდნენ ამ ბედნიერ ცხოვრებამდე.

საქართველო, თავისუფალი და ბედნიერი დღესასწაულობს დიდ ოჯახში გაერთიანების 15 წლისთავს. მასთან ერთად დღესასწაულობს დანარჩენი ათი მოძმე რესპუბლიკა. ახალი წლის მიჯნაზე 11 მოძმე რესპუბლიკა გადასძახის ერთიმეორეს:

— ახალი გამარჯვებებისაკენ!

დ. ლომთაძე

სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის რუსთაველისადმი მიძღვნილი პლენუმი

გადავთარგმნი ესპანურ ენაზე „ვეფხის-ტყაოსანს“

(ესპანელი პოეტის პლია-ი-ბერტრანის სიტყვიდან)

ამხანაგებო! ჩემო ძვირფასო საბჭოთა ძმებო და დიადო და კეთილშობილო საბჭოთა ხალხო, თქვენთან მოვდივარ იმ ხალხის სახელით, რომელიც ახლა გმირულ ბრძოლას აწარმოებს; იმ ხალხის სახელით, რომელშიც გმირობა აღაფრთოვანებს თვითეულის გულს. მოვდივარ აქ, რათა გავერთიანდე თქვენთან, მწერლებო, პოეტებო, დიადი სოციალისტური ქვეყნის საუკეთესო ადამიანებო, რათა თქვენთან ერთად ვიდღესასწაულო საქართველოს გენიალური პოეტის, სხივოსანი პოეტის, ნამდვილად ხალხური პოეტის—შოთა რუსთაველის ცხოვრების ღირსშესანიშნავი თარიღი, ვიდღესასწაულო მის მიერ უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ შექმნა.

ფაშისტი პოეტები და მწერლები უმღერიან სიკვდილს, გაჩანაგებას, ომს, ხანძარს. ჩვენ კი აქ შევიკრიბეთ იმისათვის, რომ ვადიდოთ პოეზია, რომ ჩავიხედოთ წარსულის გულში, ჩავწვდეთ ჩვენი კულტურის აწმყოს, განვჭვრიტოთ ჩვენი სხივოსანი მომავალი მაშინ, როცა ფაშისტები სწვავენ და სპობენ ყოველივე საუკეთესოს და წარსულში ეძებენ საბაბს იმისათვის, რომ სიკვდილი სთესონ, ჩვენ მივისწრაფით დავუკავშიროთ წარსული მომავალს, კაცობრიობის დიად მომავალს. მაგრამ ყველა თქვენთვის, რასაკვირველია, კარგად არის ცნობილი, თქვენთვის და ჩვენთვის, ესპანელებისათვის, კარგად არის გასაგები ესპანეთში გაჩაღებული ომის დიადი ისტორიული აზრი.

რა შემიძლია მე ვუთხრა ახალი კოლცოვს, სტავსკის, ერენბურგს, ვიშნევსკისა და სხვა საბჭოთა მწერლებს? ისინი ჩვენზე ნაკლებ როდი იცნობენ ჩვენს მწუხარებას, ჩვენს ტანჯვა-წამებას და ჩვენს გმირობას. მათ უნახავთ, თუ როგორ სძლევს სიკვდილს ჩვენი ახალგაზრდობა, როგორ სწირავს იგი თავს. მადრიდში, გვადალახარაში, ტერუელში,—იქ ჩვენ მიგვიხმობს ბრძოლა, მგზნებარე გულისთქმა, რომელიც გვაიძულებს დავძლიოთ სიკვდილი. აქ ჩვენ მოგვიხმობს პოეზია, შოთა რუსთაველის საუცხოო ნაწარმოების დაწერის ღირსსახსოვარი თარიღი. მაგრამ აქაც და იქაც ჩვენ გვაერთიანებს საერთო საქმე, ჩვენ გვამოძრავებს საერთო ნებისყოფა, კაცობრიობის საქმე, კულტურის საქმე, ის, რასაც მე ვუწოდებ ადამიანის ძირითად საქმეს. თქვენ აღსავსენი ხართ რწმენით. მეც მწამს. მწამს ის, რაც უნდა მწამდეს —ხალხი, მასები. ჩვენს დამარცხებათა დღეებში ჩვენ, ესპანელები არასოდეს არ ვკარგავდით ამ რწმენას, ჩვენ ვიცოდით, რომ ისეთი გმირი ხალხი, როგორიც ჩვენი ხალხია, არ შეიძლება გასრესილ იქნას, მიუხედავად ჩაურევლობის კომიტეტის წაყრუებისა. და თქვენ იცით, რომ მოვლენებმა გაამართლეს ჩვენი რწმენა. ჩვენი მამაცი სახალხო არმია ახლა გადამწყვეტ მოქმედებაზე გადავიდა. ფაშისტ ინტერვენტების არმიებმა ვერ გაუძლეს ჩვენი ახალგაზრდა მებრძოლების მძლავრ იერიშებს. ექვს დღეში ჩვენ დავიპყარით ტერუელი, სამხედრო თვალსაზრისით თითქმის მიუწვდომელი ქალაქი. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. დარწმუნებული იყავით, რომ ჩვენი ჯარები შესძლებენ საბოლოო გამარჯვების მიღწევას.

თქვენ იბრძოდით და იბრძვით ნათელი აწმყოსა და მომავლისათვის. ჩვენს სამშობლოში ადამიანები იბრძვიან და კვდებიან ამ მომავლისათვის. ეს ადამიანები მტკიცე სიტყვას გვაძლევენ, რომ ისინი შესძლებენ იყვნენ ამ მომავლის ღირსნი. ესპანეთი, მიჰბაძავს რა თქვენს მაგალითს, იქნება მეორე დემოკრატია მსოფლიოში.

სიტყვას გაძლევთ, ამხანაგებო, საქართველოს პოეტებო, საბჭოთა მწერლებო, გადავთარგმნო ესპანურ ენაზე შოთა რუსთაველის საუცხოო პოემა „ვეფხის-ტყაოსანი“.

ესპანელი ხალხისა და ესპანეთის მწერლების სახელით მხურვალედ მივესალმები კულტურის თქვენს მშვენიერ დღესასწაულს, როგორც ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვების ბრწყინვალე მაგალითს.

ილია ერენბურგი თბილისში

29 დეკემბერს, საღამოს, საქართველოს უგენიალურესი პოეტის შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხის-ტყაოსნის“ დაწერის 750 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ზეიმზე დასასწრებლად თბილისში ჩამოვიდა სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის წევრი „იზვესტიის“ სპეციალური კორესპონდენტი ესპანეთში, მწერალი ამხ. ილია ერენბურგი.

ამავე საღამოს ამხ. ერენბურგი მწერალთა და პოეტთა ჯგუფთან ერთად ეწვია წითელარმიის სახლს, სადაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში მოხდა რუსთაველისადმი მიძღვნილი პლენუმის მონაწილეთა საზეიმო შეხვედრა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მეომრებთან, მეთაურებთან და პოლიტმუშაკებთან.

მისი მოთხრობა ესპანელი ხალხის გმირული ბრძოლის შესახებ, რომელიც იცავს საკუთარ თავისუფლებას ფაშისტი ინტერვენტებისა და შინაური მტრებისაგან, არაერთხელ იქნა შეწყვეტილი მქუხარე ტაშით, მისასალმებელი შეძახილებით გმირი ესპანელი ხალხის პატივსაცემად.

შოთა რუსთაველის აფორიზმი: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“,—სთქვა ამხ. ილია ერენბურგმა,—ახლა განხორციელებულია ცხოვრებაში ესპანელი ხალხის გმირული ბრძოლით. დოლორეს იბარური (პასიონარია), მიუძღვებოდა რა ესპანეთის ქალებს, ამბობდა: „უკეთესია იყო გმირის ქვრივი, ვიდრე ლაჩრის ცოლი“.

თბილისში ამხ. ილია ერენბურგი დაჰყოფს 1 იანვრამდე.

28 დეკემბრის საღამოს სხდომა

28 დეკემბერს საღამოს შესდგა საბჭოთა მწერლების კავშირის რუსთაველის სახელობის პლენუმის მეხუთე სხდომა.

თავმჯდომარეობს პოეტი ამხ. ტიჩინა.

პლენუმმა უდიდესი ყურადღებით და ინტერესით მოისმინა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პასუხისმგებელი მდივნის კ. ჩარკვიანის მოხსენება თემაზე „ქართული საბჭოთა ლიტერატურა უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში“. მის შემდეგ მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა აზერბაიჯანელი პოეტი ორდენოსანი ამხ. სამედ ვურგუნი.

მე,—ამბობს ამხ. ვურგუნი,—ბედნიერი ვარ, რომ დღეს გამოვდივარ ამ ტრიბუნაზე და ვლაპარაკობ როგორც რუსთაველის ერთერთი მთარგმნელი აზერბაიჯანულ ენაზე. (ტაში).

— ქართული საბჭოთა პოეზია მრავალფეროვანია, — სთქვა თავის სიტყვაში სომხეთის პოეტმა ორდენოსანმა ნაირი ზარიანმა, რომელიც პლენუმზე გამოვიდა.—მასში გამოხატულია საბჭოთა საქართველოს მთელი სილამაზე, ხალხის ნაზი სიყვარული თავისი სამშობლოსადმი, თავისი სახელოვანი შვილებისადმი. სიყვარული დიდი სტალინისადმი.

ერთსულოვანი ტაშით შეხვდა დარბაზი საბჭოთა მწერლების კავშირის წევრის მესაზღვრე ი. შაპოვალოვის გამოსვლას.

— მე,—ამბობს ამხ. შაპოვალოვი,—მოგიტანეთ მხურვალე მეგობრული სალამი ბელორუსიის მესაზღვრეებისაგან.

ჩვენს პლენუმამდე რამდენიმე დღით ადრე, — განაგრძობს ამხ. შაპოვალოვი, — მე ვიყავი ჩვენი ბელორუსიის მესაზღვრეთა ერთერთ ყველაზე შორეულ საგუშაგოზე. საღამოს, როდესაც ლენინის კუთხეში შევედი, მე იქ ვნახე მეომართა ჯგუფი. ისინი ყურადღებით უსმენდნენ თავის ამხანაგს, რომელიც „ვეფხის-ტყაოსანს“ კითხულობდა. იმ ღამეს მესაზღვრემ, რომელიც თავის ამხანაგებს „ვეფხის-ტყაოსანს“ უკითხავდა, საგუშაგოზე მოიყვანა საზღვარზე დაჭერილი ჯაშუში (ტაში).

ნაციონალური საბჭოთა დრამატურგიის საკითხებზე შეჩერდნენ თავის გამოსვლებში ნ. პოგოდინი და დრამატურგი გ. მდივანი.

ყაზახეთის წარმომადგენელმა ამხ. კარატაევმა სთქვა: დიდის აღფრთოვანებით იჯიბრებიან ერთმანეთს ჩვენი მწერლები და პოეტები შოთა რუსთაველის პოემის თარგმნაში.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე პლიევი (სამხრეთ-ოსეთი), მეგრელიძე (ლენინგრადი), დრამატურგი გ. ბააზოვი, მწერლები მიტრეველი, ბგაჟბა (აფხაზეთი), გოფშტეინი (უკრაინა) და დ. შენგელაია.

ამით დამთავრდა რუსთაველის სახელობის პლენუმის მეხუთე სხდომა.

* * *

28 დეკემბრის დილა თვითეულმა მწერალმა თავისი შეხედულებებით გამოიყენა. პლენუმის სხდომა არ ყოფილა.

ამხ. სტავსკიმ და ვს. ვიშნევსკიმ მოიგონეს ბრძოლის წლები, როდესაც ისინი, იმყოფებოდნენ რა IX და XI არმიების რიგებში, სწმენდნენ საბჭოთა მიწა-წყალს ინტერვენტებისაგან. ეს იყო 1920-21 წლებში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კავკასიის არმიის ერთერთი ბანაკი იმყოფებოდა კოჯორში. აი სწორედ იქ წავიდნენ ამხ. სტავსკი და ვიშნევსკი.

უცხოელი სტუმრები ბელევი (ბულგარეთი), ლაქსნესი (ისლანდია), პლია-ი-ბერტრანი (ესპანეთი) სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატ მწერალ-დრამატურგ შალვა დადიანთან ერთად გაემგზავრნენ დიდი სტალინის სამშობლოში — გორში.

მწერალთა ჯგუფი — პავლენკო, მიხალკოვი, მირცი, კასილი — ეწვია საქართველოს ძველ დედაქალაქს — მცხეთას, სადაც დაათვალიერა ტაძარი.

მწერალთა მეორე ჯგუფმა დაათვალიერა ბოლშევიზმის ისტორიის შესანიშნავი ძეგლი — ბოლშევიკთა ავლაბრის არალეგალური სტამბა.

უკანასკნელი სხდომა

29 დეკემბერს დილით რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში შესდგა სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის პლენუმის უკანასკნელი სხდომა.

თავმჯდომარეობს ორდენოსანი მწერალი ვს. ვიშნევსკი.

სხდომაზე საინტერესო სიტყვებით პირველნი გამოვიდნენ მწერლები შ. ტიხონოვი და ვ. გოლცევი.

პლენუმის მონაწილენი ფეხზე ამდგარნი მხურვალედ შეხვდნენ ყაზახეთის სახალხო პოეტს ჯამბულს. იგი გამოვიდა იმპროვიზაციით, ამასთან უკრავდა დომბრას.

შემდეგ პოეტმა პავლე კუზნეცოვმა წაიკითხა ჯამბულის მშვენიერი ლექსი „სიმღერა სიცოცხლეზე“.

დარბაზი დიდხანს უკრავს ტაშს სახალხო მგოსანს, ვის სიმღერებშიც ასახულია ყაზახეთის ხალხის დიადი სიყვარული და ერთგულება დიდი სტალინისადმი, ლენინ - სტალინის პარტიისადმი, ვისი სიმღერებიც ხოტბას ასხამენ თვალუწვდენელი საბჭოთა კავშირის ხალხთა ბედნიერ სასიხარულო ცხოვრებას.

შემდეგ მკვეთრი სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. არშარუნმა და შ. რადიანმა.

თავმჯდომარე ამხ. ვიშნევსკი სიტყვას აძლევს ყაზახეთის აშუღს კანენ აზირბაევს.

მშობლიური დომბრის ნაზ ხმებში მღერის აშუღი საკუთარ სიმღერებს თავის ხალხზე, საყვარელ ბელად ამხანაგ სტალინზე და საყოველთაო აღტაცებას იწვევს. თვითეული სიმღერის შემდეგ მას მხურვალედ უკრავენ ტაშს.

ტრიბუნაზეა სალაშქრო სიმღერათა საუკეთესო ოსტატი ალექსი სურკოვი.

მას სცვლის პოეტი ნ. ასეევი, რომელმაც წაიკითხა თავისი ლექსი, მიძღვნილი საქართველოს უგენიალურესი პოეტისადმი—შოთა რუსთაველისადმი.

— აზერბაიჯანის ხალხებმა,—ამბობს თავის სიტყვაში მწერალი ალი მამედოვი,—როცა ისინი აღნიშნავენ შოთა რუსთაველის იუბილეს, მშვენივრად იციან, რომ შოთას დიადი ქმნილება სამივე ძმობილის — საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კუთვნილებაა. შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხის-ტყაოსანი“ გადათარგმნილია აზერბაიჯანულ ენაზე. თვითეული სიტყვა, დაწერილი შოთას მიერ, გასაგებია აზერბაიჯანის ყველა მშრომელისათვის. დღეს ჩვენს სოფლებში ხალხური აშუღები მღერიან შოთა რუსთაველს. და ეს გასაგებია კოლმეურნეებისათვის. ეს კოლოსალური და დიდი მიღწევაა.

პლენუმი ფეხზე ამდგარი ისმენს მწერალ გ. კაცის ცნობას იმის შესახებ, რომ გარდაიცვალა საბჭოთა მწერლების კავშირის წევრი, კომუნისტი, ადიღეს ხალხის საუკეთესო პოეტი ახმედ ხატკოვი.

მცირეოდენი შესვენების შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა პროზაიკოსმა ამხ. ლორიამ (აჭარა).

შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. კ. ჩარკვიანი.

დამსწრეთა მქუხარე ტაშში ამხ. ვსევოლოდ ვიშნევსკი კითხულობს მხურვალე მისასალმებელ დეპეშას საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელისადმი—ამხანაგ ლავრენტი ბერიასადმი. ამხ. კ. ჩარკვიანის მოხსენების გამო—ქართული საბჭოთა ლიტერატურის შესახებ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში—წინადადებებით გამოვიდა ამხ. პ. პანფეროვი. პლენუმმა გადასწყვიტა, უფრო ფართოდ გაშუქდეს ქართველ მწერალთა შემოქმედება და გაეწიოს მათ ამხანაგური დახმარება მუშაობაში.

საჭიროდ იქნა ცნობილი გამოიცეს ალმანახი, რომელშიც დაიბეჭდება სსრ კავშირის ხალხთა მწერლების საუკეთესო ნაწარმოებნი.

საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. ვ. პ. სტავსკი.

3 საათსა და 35 წუთზე ამხ. სტავსკი პლენუმს დახურულად აცხადებს.

შემდეგ პლენუმის მონაწილენი მიემგზავრებიან საქართველოს მუზეუმში, აქ მეცნიერების, ხელოვნების, საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის წარმომადგენელთა, სტახანოველთა, საბჭოთა, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა დასწრებით, მოხდა შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოფენის საზეიმო გახსნა.

* * *

საიუბილეო ზეიმი გადაიქცა ნამდვილ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულად. სასწავლებლებში, ჯარის ნაწილებში, საწარმოებში მიმდინარეობს საზეიმო კრებები, მიძღვნილი შოთა რუსთაველისადმი. დიდი საბჭოთა კავშირის პოეტები ამ კრებებზე გამოდიან თავისი ლექსებით, რომლებიც მიძღვნილია „ვეფხის-ტყაოსნის“ დიდი შემოქმედისადმი.

საღამოს 7 საათზე მწერლებისა და პოეტების მონაწილეობით, გაიმართა დიდი ლიტერატურული საღამო, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნების პოეტებმა.

მიხ. მანუილსკი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების 15 წლისთავი

15 წელმა განვლო მას შემდეგ, რაც დაარსდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.

ოთხმა რესპუბლიკამ, რომლებმაც სამოქალაქო ომში, ინტერვენტებთან ბრძოლაში დაიცვეს თავიანთი არსებობის უფლება — რსფს რესპუბლიკამ, უკრაინის სს რესპუბლიკამ, ბელორუსიის სს რესპუბლიკამ და ამიერ-კავკასიის სფს რესპუბლიკამ, რომელშიც შედიოდნენ საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი, დასდეს ურთიერთშორის ხელშეკრულება საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანების შესახებ. ეს ხელშეკრულება განიხილეს და მიიღეს ნაციონალურ რესპუბლიკურ ყრილობებზე, ხოლო შემდეგ დაამტკიცეს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის საბჭოების I ყრილობაზე, რომელიც მოხდა 1922 წლის 30 დეკემბერს.

რესპუბლიკათა ძმური კავშირის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორები იყვნენ ლენინი და სტალინი. ამხანაგი სტალინი I ყრილობაზე გამოვიდა მოხსენებით ამ საკითხის შესახებ. თავის სიტყვაში მან ასე დაახასიათა ხელშეკრულების მნიშვნელობა:

„...დღევანდელი დღე არა მარტო შემაჯამებელი დღე არის, არამედ ის არის დღე ახალი რუსეთის გამარჯვებისა ძველზე, ევროპის ჟანდარმ რუსეთზე, აზიის ჯალათ რუსეთზე. დღევანდელი დღე არის გამარჯვების დღე ახალი რუსეთისა, რომელმაც დაამსხვრია ნაციონალური ჩაგვრის ბორკილები, რომელმაც მოაწყო გამარჯვება კაპიტალზე, შექმნა პროლეტარიატის დიქტატურა. გამოაღვიძა აღმოსავლეთის ხალხები, აღაფრთოვანა დასავლეთის მუშები, წითელი დროშა პარტიულიდან სახელმწიფო დროშად აქცია და ამ დროშის გარშემო შემოჰკრიბა საბჭოთა რესპუბლიკების ხალხები იმისათვის, რომ გაეერთიანებინა ისინი ერთ სახელმწიფოდ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად, რომელიც წარმოადგენს მომავალი მსოფლიო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პროტოტიპს“.

რა მიზეზებმა გამოიწვიეს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირად გაერთიანების აუცილებლობა? საბჭოთა ხელისუფლების წინაშე მაშინ ფრიად სერიოზული პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანები იდგა. ის-ის იყო გამარჯვებით დაამთავრეს სამოქალაქო ომი ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა. უკანასკნელი ინტერვენტები—იაპონელები გაძევებულ იქნენ 1922 წლის დამლევს შორეულ აღმოსავლეთის მიწა-წყლიდან. საჭირო იყო გადავსულიყავით მშვიდობიან სამეურნეო მშენებლობაზე, აღგვედგინა იმპერიალისტური და სამოქალაქო ომის მიერ დანგრეული მრეწველობა, ლიკვიდაცია გვეყო მოუსავლობისა და შიმშილობის შედეგთათვის პოვოლჟიეში, აგვემაღლებინა სასოფლო მეურნეობა, მოგვეგვარებინა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს ფინანსები. სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლაში მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა გვქონოდა წარმატება, თუ გაერთიანებული იქნებოდა ძველი რუსეთის ტერიტორიაზე შექმნილ საბჭოთა რესპუბლიკების ძალები და სახსრები. ბაქოს ნავთი, უკრაინის კრივოი როგის მადანი, დონეცის ქვანახშირი, შუა აზიის ბამბა—ყოველივე ეს ჰკვებავდა ცენტრალური რუსეთის ფაბრიკა-ქარხნებს, ისინი კი თავის მხრით ამარაგებდნენ სამხრეთსა და აღმოსავლეთს მრეწველობის ნაწარმით. საჭირო იყო შეგვენარჩუნებინა შრომის განაწილება, რომელიც ისტორიულად დამყარდა უდიდესი ქვეყნის ცალკეულ რაიონებს შორის, საჭირო იყო სამეურნეო კავშირის მოგვარება. ყოველივე ეს მტკიცედ გვიკარნახებდა გაერთიანების აუცილებლობას.

საჭირო იყო აგვემაღლებინა ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მნიშვნელობა, შეგვექმნა საბჭოთა რესპუბლიკების ერთიანი ეკონომიური ფრონტი კაპიტალისტური გარემოცვის წინაშე, გაგვემტკიცებინა წითელი არმიის ერთიანობა და ძლიერება. საბჭოთა ქვეყანა უნდა გამოსულიყო კაპიტალისტური მსოფლიოს წინაშე, როგორც ერთიანი ძლიერი სახელმწიფო. ამის მიღწევა მხოლოდ კავშირად გაერთიანებით შეიძლებოდა.

დასასრულ, საჭირო იყო მოგვეხდინა ლიკვიდაცია ხალხთა უნდობლობის, ურთიერთ შუღლის ნაშთებისა, რასაც საუკუნეობით ნერგავდა მშრომელებში ცარიზმი, დაგვეახლოვებინა მრავალეროვანი ხალხები, რომლებიც მოსახლეობენ ჩვენს ქვეყანაში, დაგვემყარებინა მათი ძმური მეგობრობა. ამ ამოცანას ვერ გადასწყვეტს ვერც ერთი ბურჟუაზიული სახელმწიფო, სადაც ხალხთა შორის ურთიერთდამოკიდებულება აგებულია ძლიერის მიერ სუსტის ექსპლოატაციასა და ჩაგვრაზე. ამ ამოცანის განხორციელება შეიძლებოდა მხოლოდ ლენინურ - სტალინური ნაციონალური პოლიტიკის საფუძველზე, რომელიც იწვევს ხალხთა ძმურ თანამეგობრობას, მათს ფაქტიურ თანასწორუფლებიანობას, ყოველგვარი ჩაგვრის მოსპობას.

ჩვენი ქვეყნის ხალხთა და ეროვნებათა ნამდვილი თანასწორუფლებიანობის დასამყარებლად საჭირო იყო ახალ პრინციპებზე აგვეგო საბჭოთა ეკონომიკა. შეუძლებელი იყო გვეფიქრა ჩვენი ქვეყნის მეურნეობის აღდგენაზე მხოლოდ ძველი ომამდელი თანაფარდობის მიხედვით. გავიხსენოთ, რომ მეფის რუსეთის განაპირა ქვეყნები—შუა აზია, კავკასია, ჩრდილოეთი რუსი მემამულეებისა და კაპიტალისტების სასტიკი ექსპლოატაციის ობიექტს წარმოადგენდნენ. აქ, განაპირა ქვეყნებში, ცხოვრობდნენ მეურნეობისა და კულტურის მხრივ ჩამორჩენილი ხალხები, ანდა ისეთნიც, რომელთაც არ მიეტოვებინათ მომთაბარეობა, ისეთნი, რომელთაც დაცული ჰქონდათ პატრიარქალურ - საგვარეულო ურთიერთობა. მათ არც თავისი მრეწველობა ჰქონდათ, არც თავისი მუშათა კლასი ჰყავდათ. საბჭოთა ქვეყანაში მოსახლე მრავალეროვან ხალხთა ნამდვილი თანასწორუფლებიანობის დამყარება შეიძლებოდა, თუ ამ ხალხებს ძმურ დახმარებას აღმოუჩენდით, ყოველმხრივ ხელს შევუწყობდით მათ აემაღლებინათ თავიანთი საწარმოო ძალები და თავიანთი კულტუროსნობა. ეს დახმარება მათთვის უნდა აღმოეჩინათ ეკონომიურად და კულტურულად უფრო განვითარებულ ხალხებს, და პირველ რიგში, რუს ხალხს.

ასეთი დახმარება ეწევოდა ჩამორჩენილ ხალხებს საბჭოთა კავშირის არსებობის პირველი დღიდანვე. თავის მოხსენებაში რუსეთის კ. პ. (ბ) მე-12 ყრილობაზე 1923 წლის 23 აპრილს ამხანაგმა სტალინმა განსაკუთრებით აღნიშნა ამ დახმარების აუცილებლობა:

„აქ სკოლებითა და ენით იოლად ვერ წავალთ,—ამბობდა ამხანაგი სტალინი,—აქ საჭიროა ნამდვილი, სისტემატური, გულწრფელი, ჭეშმარიტი პროლეტარული დახმარება აღმოვუჩინოთ კულტურულად და მეურნეობის მხრივ ჩამორჩენილ ეროვნებათა მშრომელ მასებს. აუცილებელია, რათა, გარდა სკოლებისა და ენისა, რუსეთის პროლეტარიატმა ყველა ზომები მიიღოს იმისათვის, რომ განაპირა ქვეყნებში, კულტურულად ჩამორჩენილ რესპუბლიკებში,—ხოლო ისინი ჩამორჩენ არა თავიანთი მიზეზით, არამედ იმიტომ, რომ მათ წინათ უყურებდნენ, როგორც ნედლეულის წყაროებს,—აუცილებლად მივაღწიოთ იმას, რომ ამ რესპუბლიკებში მოეწყოს მრეწველობის კერები“.

ამხანაგ სტალინის მიერ დასმული ამოცანა წარმატებით სრულდება. აღდგენის პერიოდის წელთა განმავლობაში რუსმა მუშებმა რამდენიმე დიდი ფაბრიკა და ქარხანა გადასცეს ნაციონალურ რესპუბლიკებს. ხოლო ორი სტალინური ხუთწლედის წელთა განმავლობაში საწარმოო ძალთა ახლებური განლაგება მოხდა. ნაციონალურ რესპუბლიკათა მრეწველობის განვითარების საქმეში დაბანდებული იყო მრავალი მილიარდი მანეთი, აგებულია მძლავრი ქარხანა-გიგანტები. საკმარისია ითქვას, რომ 1936 წელს უკრაინის სს რესპუბლიკამ 1913 წელთან შედარებით, 6,9 ჯერ მეტი გამოუშვა სამრეწველო პროდუქცია, ბელორუსიის სს რესპუბლიკამ—15,9 ჯერ მეტი, საქართველოს სს რესპუბლიკამ 18,6-ჯერ მეტი, ხოლო ცარიზმის დროის უაღრესად ჩამორჩენილმა რესპუბლიკებმა თავიანთი სამრეწველო პროდუქცია მრავალ ათეულჯერ გაადიდეს ომის წინადროსთან შედარებით: ყირგიზეთის სს რესპუბლიკამ—95-ჯერ, ტაჯიკეთისამ — 116-ჯერ.

უკვე მარტო ეს ციფრები გვიჩვენებენ, თუ რა ბრწყინვალე შედეგები მოგვცა ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის თანმიმდევრობით გატარებამ, თუ რა განუხრელად მისდევს ამ პოლიტიკას სამეურნეო აღმავლობა და ფაქტიური გათანასწორება უწინ უუფლებოვად ჩამორჩენილი ხალხებისა საბჭოთა კავშირის უფრო მოწინავე ხალხებთან.

იმ რაიონებში, რომლებიც წინათ უდაბურ რაიონებად ითვლებოდნენ, საბჭოთა გეოლოგიურმა კვლევამ აღმოაჩინა სასარგებლო მადნეულთა უდიდესი ბუდობები, რის შესახებაც წარმოდგენაც არ ჰქონიათ მტაცებელ კაპიტალისტებს. ყაზახეთში აღმოჩენილია ქვანახშირის უდიდესი მარაგი (ყარაგანდა), ძლიერი საბადოები მრავალლითონიანი მადნებისა, რკინისა, ქვანახშირის მარაგი აღმოჩენილია აგრეთვე შუა აზიაში, იაკუტიაში, კომის რესპუბლიკაში. ჩრდილოეთში, იმიერპოლარეთში, აღმოჩენილია აპატიტების მსოფლიო ბუდობები. აღმოჩენილია ნავთის უდიდესი მარაგი, ბაშკირეთის ასს რესპუბლიკაში, კომის რესპუბლიკაში, შუა აზიაში და უკრაინაში (ქალაქ რომნის მახლობლად). ამ მადნეულ სიმდიდრეთა საფუძველზე ნაციონალურ რესპუბლიკებში წარმოიშვება მძლავრი მრეწველობა, ცოცხლდება უდაბური რაიონები, იქმნება მუშათა კლასის საკუთარი კადრები, საწარმოებში იზრდებიან სტახანოველები, რომლებიც გვიჩვენებენ სოციალისტური შრომის შესანიშნავ ნიმუშებს.

დიდ აყვავებას მიაღწია ნაციონალურ რესპუბლიკებში სოფლის მეურნეობამაც. შუა აზიის ყოფილი მომთაბარენი ერთ ადგილას დაბინავდნენ მიწაზე, კოლმეურნეობებში გაერთიანდნენ და არნახული მოსავალი მოჰყავთ. უზბეკეთი, თურქმენეთი და ტაჯიკეთი მაღალხარისხოვანი საბჭოთა ბამბის ბაზად გადაიქცნენ. ჩვენი ქვეყანა ბამბას საზღვარგარეთის კაპიტალისტებისაგან აღარ ყიდულობს, მთლიანად განთავისუფლდა უცხოეთზე დამოკიდებულებისაგან.

საქართველო სუბტროპიკული კულტურების — ჩაის, მანდარინის სამშობლოდ გადაიქცა. საბჭოთა ხელისუფლება ყოველ მხრივ აადვილებს კოლმეურნეთა შრომას. სოციალისტურ მინდვრებში მუშაობს ათეული ათასობით რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანა. უზბეკეთის მინდვრებში 1937 წლის დამდეგს 18 ათასზე მეტი ტრაქტორი მუშაობდა, ყაზახეთში — 22 ათასი, უკრაინაში — 81 ათასი. ნაციონალურ რესპუბლიკებში სახალხო მეურნეობა ითურჩქნება ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის სწრაფ ზრდასთან ერთად. ხალხები, რომლებიც ცარიზმს სიბნელესა და უმეცრებაში ჰყავდა, ამჟამად უუფლებიან წერა-კითხვას, ცოდნას. რამდენიმე ათეულჯერ გაიზარდა საშუალო სკოლის მოწაფეთა რიცხვი ომის წინა დროსთან შედარებით. აზერბაიჯანში საშუალო სკოლებში 35-ჯერ მეტი ბავშვი სწავლობს, ვიდრე რევოლუციამდე სწავლობდა, უზბეკეთში — 53-ჯერ მეტი, სომხეთში — 68-ჯერ მეტი, ხოლო ყირგიზეთში —172-ჯერ მეტი. ბელორუსიაში, აზერბაიჯანში, სომხეთში, შუა აზიის რესპუბლიკებში რევოლუციამდე არ ყოფილა არცერთი უმაღლესი სასწავლებელი. ამჟამად კი ბელორუსიაში 19 უმაღლესი სასწავლებელია, აზერბაიჯანში — 10, სომხეთში — 8, უზბეკეთში—26, ყაზახეთში—12, ყირგიზეთში—3. სწრაფი ნაბიჯით მიდის ნაციონალურ რესპუბლიკებში საკუთარი ინტელიგენციის, მეცნიერების სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა შექმნა.

მთელმა რიგმა ხალხებმა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მიიღეს საკუთარი დამწერლობა, საკუთარი ნაციონალური ანბანი; ისინი სწავლობენ სკოლებში, დედაენაზე სწერენ და კითხულობენ, აქვთ თავიანთი გაზეთები, წიგნები.

ვითარდება სათეატრო კულტურა. დედაენაზე თეატრი მოეპოვებათ ჩეჩნებს, ადიღეელებს (ჩრდილო-კავკასია), ნენცებს (ჩრდილოეთი), ხაკასებს (ალტაი), 45 სხვადასხვა ეროვნებას. ქართულმა, ყაზახურმა, უკრაინულმა და უზბეკურმა თეატრებმა, რომლებმაც თავიანთი დადგმები უჩვენეს წითელ დედაქალაქ მოსკოვში, საბჭოთა მაყურებლების აღფრთოვანებული მოწონება დაიმსახურეს და მაღალი ჯილდო მიიღეს საბჭოთა მთავრობისაგან. საქართველოს სს რესპუბლიკის სურათების გამოფენა, რომელიც ამჟამად მოსკოვშია მოწყობილი, ცხადჰყოფს ქართველ მხატვართა დიდ ზრდას.

ასეთია მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად გაერთიანებულ ხალხთა უდიდესი მიღწევები. „ამის შედეგად ახლა ჩვენ გვაქვს სავსებით ჩამოყალიბებული, მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო, რომელმაც ყველა გამოცდას გაუძლო, რომლის სიმტკიცე შეეხარბება ყოველ ნაციონალურ სახელმწიფოს მსოფლიოს თვითეულ ნაწილში“ (სტალინი).

საბჭოთა მთავრობა, პარტია და პირადად ამხანაგი სტალინი ყოველთვის გულისხმიერებით ეკიდებოდნენ და ეკიდებიან ჩვენი სამშობლოს მრავალეროვან ხალხთა მოთხოვნებსა და საჭიროებას. პრინციპებმა, რომლებიც 15 წლის წინად საფუძვლად დაედო პირველ ხელშეკრულებას კავშირად გაერთიანების შესახებ, თავისი შემდეგი განვითარება მიიღო და ამჟამად ეს პრინციპები განმტკიცებულია სტალინურ კონსტიტუციაში. ახლა საბჭოთა კავშირი შესდგება 11 სრულუფლებიანი რესპუბლიკისაგან: რსფსრ, უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, თურქმენეთის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, ყაზახეთის და ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებისაგან. მათ შემადგენლობაში ითვლება 22 ავტონომიური ნაციონალური რესპუბლიკა, 9 ავტონომიური ოლქი და 12 ნაციონალური ოკრუგი. ჩვენი ქვეყნის ხალხთა სპეციფიკური ნაციონალური ინტერესები წარმოდგენილია სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მეორე პალატით—ეროვნებათა საბჭოთი.

საბჭოთა კავშირის მოსახლე ხალხები თვალნათლივ დარწმუნდნენ ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სისწორეში. ისინი ერთიან, ერთსულოვან ოჯახად ცხოვრობენ. აღარ არის წარსული უნდობლობა და შუღლი ხალხებს შორის. სოციალისტური სახელმწიფოს ციხეს ვერ დაანგრევენ ვერავითარი მტრები. სწორედ ეს არის, რომ ცოფს ჰგვრის მთელს მსოფლიოში კაპიტალისტებს, ფაშისტ აგრესორებს და მათ ერთგულ ლაქიებსა და აგენტებს—ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს ნაციონალურ რესპუბლიკებში.

ხალხის საზიზღარი მტრები—ბურჟუაზიული ნაციონალისტები, [illegible] როტებითა და სიძულვილით [illegible] სენი მშრომელი ხალხისადმი, [illegible] ლიც აშენებს ბედნიერ, შეძლ[illegible] ცხოვრებას, ყოველნაირად ც[illegible] დნენ ხელახლად დაედგათ [illegible] მელთათვის კაპიტალის [illegible] ტროცკისტ-ბუხარინულ [illegible] ბანდასთან ერთად ისინი [illegible] დნენ გაეყიდნათ თავიანთი საქართველო ბითუმად და ცალობით. ყოველნაირად ცდილობდნენ ისინი გამ[illegible]ვიათ უნდობლობა რუსი ხალხის[illegible]მი, ჩამოეშორებინათ ნაციონალური რესპუბლიკები საბჭოთა კავშირისაგან, ძირი გამოეთხარათ მისი ძლიერებისა და თავდაცვისუნარიანობისათვის. მათი მტრული ბუდეები განადგურებულია ჩვენი სახელოვანი დაზვერვის — შინსახკომის მიერ სტალინური სახალხო კომისრის ნ. ი. ეჟოვის ხელმძღვანელობით. მაგრამ, აქა-იქ კიდევ დარჩნენ ხალხის მტრების გამოუმჟღავნებელი ნაბოლარები. ისინი ღრმად შეინიღბნენ და კიდევ შეეცდებიან ავნონ და ზიანი მიაყენონ მშრომელ ხალხს. ტროცკისტ-ბუხარინული ბანდა, ბურჟუაზიულ ნაციონალისტური გარეწრები—ყველა ესენი ფაშისტური ერთიანი ხროვა, ხალხის უბოროტესი მტრები არიან. და ჩვენი ქვეყნის თვითეული მოქალაქის, ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს თვითეული პატრიოტის ამოცანა არის — გამოამჟღავნოს, გაანადგუროს ყველა, ვინც ხალხის ზურგში აღმართავს ხელს ამ ხალხის სიცოცხლის წინააღმდეგ, მისი ბედნიერების, მისი ბრწყინვალე მომავლის წინააღმდეგ.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ყრილობაზე

არლი, 28 დეკემბერი (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ყრილობის გუშინდელ საღამოს სხდომაზე განხილულ იქნა მოხსენებანი პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობის შესახებ. ყველა გამოსვლა მოწმობს, რომ ადგილობრივი ორგანიზაციები სავსებით ეთანხმებიან პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკას და რომ კომუნისტების გავლენა მნიშვნელოვნად გაიზარდა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო რაიონებში.

გაბრიელ პერიმ და ალჟირის დელეგატმა, რომლებიც ბრალს სდებდნენ საფრანგეთის მთავრობას ჩრდილო აფრიკის ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის მიცემულ დაპირებათა შეუსრულებლობაში, მოითხოვეს კოლონიების მოსახლეობისათვის პოლიტიკური უფლებების მინიჭება და იქაური გლეხობის მძიმე მატერიალური მდგომარეობის შემსუბუქება. პერიმ გამოამჟღავნა ფაშისტების ოინები საფრანგეთის კოლონიებში და განაცხადა: „თუ საფრანგეთს არ სურს, რომ საფრანგეთის ჩრდილო აფრიკაში მოხდეს ის, რაც მოხდა ესპანეთის მაროკოში, სადაც ფრანკომ ჰიტლერისა და მუსოლინის დახმარებით ამბოხება მოამზადა, საფრანგეთის მთავრობამ უნდა გასწმინდოს კოლონიების ადმინისტრაცია და ჩრდილო აფრიკიდან გააძევოს ჰიტლერისა და მუსოლინის აგენტები“.

საომარი მოქმედება ჩინეთში

ცენტრალურ ჩინეთში

შანხაი, 27 დეკემბერი (საკდესი). „შანხაი ივნინგ პოსტი“ იუწყება, რომ ჩინელთა მთავარი ძალები კვლავ უწევენ წინააღმდეგობას იაპონელებს ხანჯოუს სამხრეთ-დასავლეთით (ჯენძიანის პროვინციის დედაქალაქი). ფუიანის რაიონში (ხანჯოუს სამხრეთ-დასავლეთით) მოხდა დიდი ბრძოლა. ამავე დროს ჩინეთის ჯარების ერთი ჯგუფი ღრმად შეიჭრა იაპონელთა ზურგში და მოქმედებს სუნძიანის და ცინპუს რაიონში (შანხაის სამხრეთით).

ამ ჯგუფის მოწინავე ნაწილები 4 ათასი კაცის შემადგენლობით უტევენ სიცაინს (შანხაიდან 30 კილომეტრის მანძილზე დასავლეთით). ეს რაზმები აწარმოებენ პარტიზანულ ომს იაპონელთა წინააღმდეგ და დაუკავშირდნენ ჩინეთის ჯარებს, რომლებიც მდინარე იანძის შესართავის რაიონში მოქმედებენ. „დადანბაო“ იუწყება, რომ პარტიზანული რაზმები აქტიურობას ანვითარებენ მთელ რიგ პუნქტებში შანხაის მახლობლად.

ჩრდილო ჩინეთში

ხანკოუ, 28 დეკემბერი (საკდესი). იაპონელთა გემები ორჯერ შეეცადნენ გადმოესხათ დესანტი ცინდაოში. ამავე დროს შემჩნეულია იაპონიის ავიაციის კონცენტრაცია ფრონტის ამ უბანზე. სერიოზული ბრძოლა სწარმოებს ძინჯოუს გარშემო ცინდაოდან 160 კილომეტრის მანძილზე რკინიგზით.

უკანასკნელი ცნობების თანახმად, ძინანი (შანდუნის პროვინციის დედაქალაქი) აიღეს იაპონიის ჯარებმა. სენტრალ ნიუსის სააგენტოს ცნობებით, ბეიპინ-ხანკოუს რკინიგზის ფრონტზე სიწყნარეა, 18 დეკემბრიდან 6000-დე იაპონელი ჯარისკაცი გაემართა ჩრდილოეთისაკენ. დროებითი სიწყნარეა აგრეთვე ტიანძინ-პუკოუს რკინიგზის ფრონტის უბანზე.

ტოკიო, 28 დეკემბერი (საკდესი). დომეი ცუსინი იტყობინება, რომ ცინდაო (ნავსადგური შანდუნის პროვინციაში) შეტანილია იმ ზონაში, რომელიც იაპონიის ფლოტის ბლოკადაში იმყოფება.

ხანკოუ, 28 დეკემბერი (საკდესი). მას შემდეგ, რაც ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ცინდაოს ნავსადგური შეტანილია იაპონიის სამხედრო გემებისაგან ბლოკირებულ ზონაში, უკანასკნელი 60 ამერიკელი ქალაქიდან გაემგზავრა სამხედრო გემით.

ლონდონი, 28 დეკემბერი (საკდესი). რეიტერის კორესპონდენტი ბეიპინიდან იტყობინება, რომ 26 დეკემბერს იაპონელი ჯარისკაცები თავს დაესხნენ ინგლისის მისიის სკოლას ბეიპინში. ისინი შეიჭრნენ სკოლის გამგის სახლში, გასტეხეს მისი მაგიდა და წაიღეს ბევრი კერძო მიმოწერა. შემდეგ იაპონელები შეიჭრნენ თვით სკოლაში, საიდანაც აგრეთვე წაიღეს კერძო მიმოწერა. ამის შემდეგ იაპონელებმა დააპატიმრეს სკოლის გამგე დოქტორი ლინი მისთვის რაიმე ბრალდების წაუყენებლად.

ხანკოუ, 28 დეკემბერი (საკდესი). შანსის პროვინციის მეთაურმა გენერალმა იან სი-შანმა „შაოტანბაოს“ კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ საზავო მოლაპარაკება იაპონიასთან ახლა შეუძლებელიაო. აღნიშნა რა სათანადო სამხედრო მომზადების აუცილებლობა, იან სი-შანმა სთქვა: „ქვეყანას არ შეუძლია ექნეს თანამედროვე სამხედრო მომზადება თავისი პოლიტიკური სტრუქტურის ჩამორჩენილობისას. ამჟამად უაღრესად საჭიროა პოლიტიკური რეფორმები, რომელთა განხორციელებით უეჭველად გაძლიერდება ჩვენი თავდაცვის უნარიანობა“. ჩინეთის თავდაცვა, სთქვა შემდეგ იან სი-შანმა, გაცილებით უფრო წარმატებული გახდება, თუ მოსახლეობა იქნება ნამდვილად ორგანიზებული, აღზრდილი და შეიარაღებული.

იან სი-შანის ინტერვიუ წარმოადგენს პირდაპირ პასუხს იმ ფურცლებზე, რომლებსაც იაპონელთა თვითმფრინავები ჰფანტავენ შანსის პროვინციაში და რომლებშიც იაპონიის შტაბი ზავს სთავაზობს იან სი-შანს.

ტერუელის აღების შემდეგ

(ტელეფონით „პრავდის“ სპეც. კორესპონდენტისაგან)

ბარსელონა, 28 დეკემბერი (საკდესი). ტერუელის აღებამ სათანადო კვალი დააჩნია ესპანეთის მთელ პოლიტიკურ ვითარებას.

ტერუელის აღებამ რესპუბლიკურ ესპანეთში ხალხის მასების უდიდესი აღტყინება გამოიწვია. განმტკიცდა სახალხო ფრონტის ერთიანობა. გაძლიერდა დისციპლინა ზურგში. უკანასკნელ დღეებში რესპუბლიკური პრესა არაერთხელ აღნიშნავდა, რომ დისციპლინის გაძლიერებისა და მასების აღფრთოვანების შედეგად გადიდდა შრომის ნაყოფიერება ფაბრიკებსა და ქარხნებში.

ტერუელის აღებამ ფაშისტთა ზურგში დაანახვა მოსახლეობას ფრანკოს გამარჯვებათა რელაციების მთელი სიყალბე. ტერუელის დაკარგვამ გავლენა მოახდინა ფაშისტთა აღმოსავლეთის (არაგონის) ფრონტის საერთო მდგომარეობაზე და გამოიწვია სარაგოსის თავდაცვითი სისტემის შესუსტება. უესკა და ტერუელი ამ თავდაცვითი სისტემის დასაყრდენი პუნქტები იყვნენ მის ორივე ფლანგზე. ტერუელის დაცემის შემდეგ სარაგოსა უფრო სუსტად არის დაცული, ვიდრე წინად.

მართალია, რესპუბლიკელთა გაზეთები იუწყებიან, რომ ფრანკოს ჯერ კიდევ სავსებით არ აუღია ხელი იმაზე, რომ დაიწყოს შეტევა ტერუელის სექტორში კასტელიონ დე ლა პლანა - საგუნტოს მიმართულებით. მაგრამ არის ცნობები, რომ ფრანკოს გერმანელი „მრჩევლები“ უკვე არ ურჩევენ მას ახლავე დაიწყოს შეტევა ამ სექტორში.

ძალიან დამახასიათებელია ის, რომ ფაშისტთა გააფთრებულ კონტრიერიშებს ტერუელის უბანზე ადვილად იგერიებენ რესპუბლიკელთა ჯარები. ამასთან რესპუბლიკელებს ჯერ კიდევ არ გაუგზავნიათ ბრძოლაში თავისი რეზერვები ამ სექტორში. ტერუელის ოპერაციების დაწყების მომენტიდან რესპუბლიკელთა მთელ ბრიგადებს ტერუელთან ერთხელაც არ გაუსროლიათ თოფი და განაგრძობენ რეზერვში ყოფნას. ამ სექტორში ფაშისტთა „დიდი შეტევის“ ყოველგვარი ცდა წააწყდება რესპუბლიკელთა მნიშვნელოვანი ძალების გამანადგურებელ წინააღმდეგობას.

ამავე დროს დაკავებულ ტერუელში სწარმოებს რესპუბლიკელთა მიერ წაღებული ტროფეების აღრიცხვა. სთვლიან თვით ქალაქსა და მის მიდამოებში წართმეულ ქვემეხებს, ტყვიამფრქვევებს, მორტირებს, შაშხანებს, სატვირთო მანქანებს, საომარ მასალას, საჭურველს. აღმოჩენილია დიდი სასურსათო საწყობები; შესაძლებელია, რომ ამ სურსათს ფაშისტები აგროვებდნენ თავიანთი შეტევისათვის, რომელიც მარცხით დამთავრდა.

დაკავებულ ქალაქში ნორმალური მუშაობა დაიწყო რესპუბლიკელთა ადმინისტრაციამ.

ს. ფალკონი

უცხოეთის ქრონიკა

— ვალენსიის გუბერნატორმა დაადგინა — გაირიცხონ კონტრრევოლუციური ტროცკისტული „პოუმის“ წევრები მუნიციპალიტეტის შემადგენლობიდან. ამის გამო სოციალისტური პარტიის, კომპარტიისა და მემარცხენე რესპუბლიკელების წარმომადგენლებმა გამოაქვეყნეს ცნობა, რომ ისინი განაახლებენ მუშაობას მუნიციპალიტეტში.

— ბერლინში გამოვიდა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ახალი ცნობარი 1938 წლისთვის. ცნობარში მოყვანილია მასალა გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მშენებლობის უახლესი გეგმა.

— „პტი პარიზიენი“, „ლუმანიტე“ და სხვა გაზეთები ბეჭდავენ ცნობას, რომ პარიზს დაბრუნდნენ ფრანგი სპორტსმენები ტარი და იენკელი, რომლებიც იყვნენ საბჭოთა კავშირში და შეჯიბრება ჰქონდათ სსრ კავშირის სპორტსმენებთან.

— საფრანგეთში კვლავ გრძელდება საგაფიცვო მოძრაობა. მეწარმენი საბოტაჟს უწევენ კონფლიქტების ლიკვიდაციის ცდებს. სატრანსპორტო საწარმოთა პატრონები არ იძლევიან პასუხს შრომის მინისტრის წინადადებებზე, სასურსათო საწყობების პატრონები პარიზში და სასტუმროთა პატრონები ნიცაში თავს არიდებენ მთავრობისა და პროფკავშირების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებას.

ინგლის-გერმანიის საზღვაო ხელშეკრულება

ბერლინი, 27 დეკემბერი (საკდესი). რატიფიკაციის შემდეგ „რეიხსგეზეცბლატში“ გამოქვეყნებულია ინგლის-გერმანიის 1937 წ. 17 ივლისის საზღვაო ხელშეკრულების სრული ტექსტი. ეს ხელშეკრულება, რომელიც ავსებს გერმანიასა და ინგლისს შორის 1935 წელს დადებულ შეთანხმებას ორივე ქვეყნის გემების თანაფარდობის შესახებ, [illegible] სხვადასხვა ტიპის სამხედრო [illegible] და მათი შეიარაღების [illegible] ოდენობას. ამჟამად გამოქვეყნებულ ხელშეკრულების სრული ტექსტიდან სჩანს, რომ ინგლისი [illegible] წინაშე მთელ რიგ დათმობებზე წავიდა გერმანიის სხვადასხვა კატეგორიის სამხედრო გემების და [illegible] ვადის მხრივ. ხელშეკრულებით ვარგისობის ვადად სახაზო გემებისათვის დაწესებულია 26 წელი, ავიამზიდებისათვის — 20 წელი და სხვა სამხედრო გემებისათვის — 13-დან 20 წლამდე. გერმანიის სამხედრო გემების მიმართ კი ეს ვადები მნიშვნელოვნად შემცირებულია.

ასე, მაგალითად, „დეიჩლანდის“ ტიპის სამ გერმანულ ჯავშნოსანს, მათი აგებიდან თხუთმეტი წლის გასვლის შემდეგ ინგლისი „მოძველებულად“ სცნობს. ვარგისობის თხუთმეტი წლის ვადა დაწესებულია აგრეთვე „ემდენის“ ტიპის მსუბუქი გერმანული კრეისერებისთვისაც. შემცირებული ვადებია აგრეთვე დაწესებული გერმანული ნაღმოსნებისათვის. დაწესებული ვადების გასვლის შემდეგ შესაბამისი გერმანული სამხედრო ხომალდები ანგარიშში არ იქნება მიღებული ორივე ქვეყნის ფლოტების თანაფარდობის განსაზღვრისას, თუმცა შემდეგშიც შეიძლიათ ამ გემებს დარჩნენ მწყობრში.

„დიდი ომის“ მოსამზადებლად

ბერლინი, 28 დეკემბერი (საკდესი). გერმანიის ფაშიზმი ქვეყნის მთელ რესურსებს „დიდი ომის“ მომზადებას ახმარებს და სულ უფრო და უფრო ძლიერებს გადასახადებით დაბეგვრას. განსაკუთრებით იზრდება მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის და მოხმარების მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი პროდუქტების საგადასახადო დაბეგვრა. ფინანსთა სამინისტროს ცნობებით, გადასახადებიდან შემოსავლის საერთო თანხა ნოემბერში შეადგენდა 1.022,9 მილიონ მარკას, შარშან ნოემბერში კი—874,3 მილიონ მარკას. 1 აპრილიდან 1 დეკემბრამდე საგადასახადო შემოსავლის თანხა შეადგენს 8.956,4 მილიონ მარკას, 1936 წლის იმავე პერიოდში კი შეადგენდა 7.368,7 მილიონ მარკას. ხელფასის გადასახადი შეადგენს 1.150 მილიონ მარკას. ხელფასის გადასახადის თანხა ნოემბერში 14,5 მილიონი მარკით სჭარბობს ხელფასის გადასახადის თანხას, რომელიც გასული წლის ნოემბერში იქნა მიღებული. ამავე დროს კაპიტალის შემოსავლის გადასახადი მხოლოდ 0,8 მილიონი მარკით გაიზარდა.

ისეთი პროდუქტების მოხმარების საგადასახადო შემოსავალი, როგორიცაა შაქარი, მარილი, ცხიმები და ლუდი, მიმდინარე წლის მოხსენებულ თვეში შეადგენდა 673,1 მილიონ მარკას.

შ. რუსთაველის იუბილე

საზეიმო სხდომა ოპერის თეატრში

დღეს, საღამოს 6 საათზე, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან თეატრში გაიხსნება თბილისის საბჭოს საიუბილეო საზეიმო სხდომა, მიძღვნილი უდიდესი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველისადმი.

სხდომას დაესწრებიან იუბილესთან დაკავშირებით ჩამოსული სსრკ მწერალთა კავშირის პლენუმის მონაწილენი და ადგილობრივი პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომას გახსნის თბილისის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი ამხ. მ. გვიშიანი.

შესავალ სიტყვას წარმოსთქვამს საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე — რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ვ. მ. ბაქრაძე. საზეიმო ნაწილის შემდეგ გაიმართება დიდი მხატვრული საღამო, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ კ. პაჭკორიას ხელმძღვანელობით არსებული დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული გუნდი, ხელ. დამს. მოღვაწის მ. კუხიანიძის ხელმძღვანელობით არსებული სახელმწიფო კაპელა, ი. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით არსებული მეჩონგურეთა ანსამბლი და სხვ.

კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობები: დ. ანდღულაძე, ნ. ქუმსიაშვილი, პ. ამირანაშვილი, ექ. სოხაძე, დ. გამრეკელი, ნ. ცომაია, ლ. გვარამაძე, ო. სუხიშვილი და სხვ.

ქრონიკა

სამტრედია, 28 დეკემბერი (საქ. კორ.) მოეწყო უდიდესი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის 750 წლის საიუბილეო საზეიმო საღამო. შოთა რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსნის“ შესახებ მოხსენება გააკეთა მწერალმა როდიონ კორკიამ. მოხსენების შემდეგ გაიმართა მხატვრული საღამო. ათწლედის მოწაფეებმა წაიკითხეს შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები. ლექსი წაიკითხა აგრეთვე საღამოზე დასასწრებლად ჩამოსულმა მწერალმა გიორგი კაჭახიძემ.

სოფ. ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი აწყობს შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილ გამოფენას.

თბილისის ამხანაგ ლ. პ. ბერიას სახელობის ფიზკულტურის ტექნიკუმის მე-3 კურსის სტუდენტი ლიუბა ალაბუხინა ბადროს ტყორცნის დროს. ფოტო ბუდიშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

თბილისის სახელმწიფო ოპერის თეატრი შოთა რუსთაველის იუბილეს დღეებში.

ლექციები რადიოთი

დაუსწრებელი პარტსწავლების ინსტიტუტის საქართველოს განყოფილება 1938 წლის იანვარში რადიოთი გადასცემს შემდეგ ლექციებს:

1 იანვარს რუსულ ენაზე გადაცემული იქნება იაროსლავსკის ლექცია თემაზე: „მენშევიკები და ბოლშევიკები რუსეთ-იაპონიის ომისა და რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში“ (1904—1907 წ. წ.)—ლექცია მეორე. ლექციას გადასცემენ ორგანიზებულ რადიომსმენელთა და პარტისტორიის მესაგნეთათვის.

3 იანვარს იგივე ლექცია გადაცემული იქნება ქართულ ენაზე (ლექცია მესამე).

5 იანვარს ქართულ ენაზე გადაცემული იქნება პროფ. შესტაკოვის ლექცია თემაზე: „კიევის სახელმწიფო“. ლექციას გადასცემენ ორგანიზებულ მსმენელთათვის სსრ კავშირის ისტორიაში.

7 იანვარს ორგანიზებულ მსმენელთა და მესაგნეთათვის ლენინიზმში ქართულ ენაზე გადაცემული იქნება ლექცია თემაზე: „ლენინ-სტალინის მოძღვრება ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ“.

9 იანვარს ორგანიზებულ მსმენელთა და მესაგნეთათვის პარტისტორიაში რუსულ ენაზე გადასცემენ იაროსლავსკის ლექციას თემაზე: „მენშევიკები და ბოლშევიკები რუსეთ-იაპონიის ომისა და რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში“ (1904—1907 წ. წ.)—ლექცია მესამე.

11 იანვარს იგივე ლექცია გადაცემული იქნება ქართულ ენაზე (ლექცია მეოთხე).

13 იანვარს საკოლმეურნეო აქტივის კურსების მსმენელებისა და აგიტატორებისათვის ქართულ ენაზე გადასცემენ კარპინსკის ლექციას თემაზე: „ამხანაგ სტალინის ლოზუნგის შესახებ—„გავხადოთ ყველა კოლმეურნეობა ბოლშევიკურ კოლმეურნეობად და ყველა კოლმეურნე შეძლებულად“.

15 იანვარს ორგანიზებულ მსმენელთათვის სსრ კავშირის ისტორიაში ქართულ ენაზე გადაცემული იქნება პროფ. შესტაკოვის ლექცია თემაზე: „კიევის სახელმწიფოს დაცემა და ფეოდალური სამთავროების შექმნა“ (გალიჩ-ვოლინის, ვლადიმირ-სუზდალის და ნოვგოროდის ქვეყნები).

17 იანვარს ორგანიზებულ მსმენელთა და მესაგნეთათვის პარტისტორიაში რუსულ ენაზე გადასცემენ იაროსლავსკის ლექციას თემაზე: „მენშევიკები და ბოლშევიკები რუსეთ-იაპონიის ომისა და რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში“ (1904—1907 წ. წ.)—ლექცია მეოთხე.

19 იანვარს ორგანიზებულ მსმენელთა და მესაგნეთათვის პარტისტორიაში ქართულ ენაზე გადაცემული იქნება იაროსლავსკის ლექცია თემაზე: „მენშევიკები და ბოლშევიკები სტოლიპინის რეაქციის პერიოდში და ბოლშევიკთა ჩამოყალიბება დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიად“ (1908—1912 წ. წ.)—ლექცია პირველი.

21 იანვარს ორგანიზებულ მსმენელთა და მესაგნეთათვის ლენინიზმში ქართულ ენაზე გადაცემული იქნება ლექცია თემაზე: „პროლეტარული რევოლუციის წინამძღვრები და მამოძრავებელი ძალები“.

23 იანვარს ორგანიზებულ მსმენელთათვის სსრ კავშირის ისტორიაში ქართულ ენაზე გადასცემენ პროფ. შესტაკოვის ლექციას თემაზე: „შუა-აზია და ამიერ-კავკასია და მათი დაპყრობა მონღოლთა მიერ. რუსთა სამთავროების დაპყრობა მათ მიერ“.

25 იანვარს ორგანიზებულ მსმენელთა და მესაგნეთათვის პარტისტორიაში რუსულ ენაზე გადაცემული იქნება იაროსლავსკის ლექცია თემაზე: „მენშევიკები და ბოლშევიკები სტოლიპინის რეაქციის პერიოდში და ბოლშევიკთა ჩამოყალიბება დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიად“ (1908—1912 წ. წ.)—ლექცია პირველი.

27 იანვარს იგივე ლექცია გადაცემული იქნება ქართულ ენაზე (ლექცია მეორე).

29 იანვარს ქართულ ენაზე გადაცემული იქნება ლექცია საკოლმეურნეო აქტივის მსმენელებისა და აგიტატორებისათვის. ლექციის თემა დამატებით გამოცხადდება.

სასტუმრო „თბილისი“

სასტუმრო „თბილისი“ ერთი საუ[illegible] მარტო თბილისის [illegible] შორის, რომელიც [illegible]. სასტუმროს [illegible] ამჟამად დამთავრებულია და ახლა იწყებენ დარბაზებისა და ნომრების მოწყობას.

სასტუმროსთვის გადაწყვეტილია შეიძინონ საუკეთესო ხარისხის ელექტრო-არმატურა, ახალი სტილის საწოლები, ძვირფასი ავეჯი და მორთულობა. ელექტრო-არმატურას და საწოლებს ამზადებენ ლენინგრადისა და მოსკოვის ფაბრიკები. გრეხილი ავეჯეულობა შეკვეთილი აქვს მაიკოპის გრეხილი ავეჯეულობის ფაბრიკას. დანარჩენი მორთულობის ნაწილი მზადდება თბილისში და კავშირის სხვა ქალაქებში.

მხეცური მკვლელობა

20 დეკემბერს, საღამოს, თბილისის სისხლის სამართლის მილიციას აცნობეს მოქ. თამარ ბოლქვაძის მოკვლის ამბავი (ენგელსის ქ. № 66). მკვლელობის ადგილას გამოცხადნენ სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლები, რომლებმაც გამოარკვიეს, რომ თ. ბოლქვაძე სამი დღე-ღამის განმავლობაში არ გამოსულა სახლიდან, თავდაპირველად მეზობლებს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ, მაგრამ ბოლოს გააღეს მისი ოთახის კარი და ბოლქვაძე მკვდარი იპოვნეს.

ოთახის დათვალიერებით გამოირკვა, რომ ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონია მკვლელობას გაძარცვის მიზნით. ოთახიდან წაღებული აღმოჩნდა ძვირფასი ნივთები. ბოლქვაძე იატაკზე იწვა, შესასვლელ კართან, და წახურული ჰქონდა საბანი და ბალიშები, რომელზედაც იდო ღუმელის მძიმე სახურავი. გვამის სასამართლო-სამედიცინო შემოწმებამ გამოარკვია, რომ თ. ბოლქვაძე მოუკლავთ 18 დეკემბერს დილით თავში აგურის დარტყმით.

მკვლელობის აღმოჩენის მეორე დღეს, 21 დეკემბერს, სადგურ თბილისის რკინიგზის მილიციის ორგანოებმა უკვე მიაგნეს ბოროტმოქმედთა კვალს, 23 დეკემბერს კი ყველა დამნაშავე შეიპყრეს.

როგორც გამოირკვა, მკვლელობის ინიციატორი იყო ვინმე კ. დვალი (ლოტკას ქ. № 21). ბოროტმოქმედნი თავს აფარებდნენ სახკინმრეწვის კინო-სტუდიის სტუდენტას გ. კელენჯერიძის ბინას (ლოტკის ქ. № 21). მკვლელობის უშუალო შემსრულებლები იყვნენ ნ. ი. პონომარენკო და ვინმე ლ. ა. კესკიულის ქალი. ბოროტმოქმედნი გამოტყდნენ დანაშაულში.

17 დეკემბერს პონომარენკო მოქ. ბოლქვაძის ოთახის შესწავლის მიზნით მივიდა მასთან, მიუკაკუნა კარი და ჰკითხა: — „აქ ცხოვრობს ჯაფიაო?“ მიიღო რა უარყოფითი პასუხი, პონომარენკომ შეუმჩნევლად გამოაძრო კარიდან გასაღები და თან წაიღო. 18 დეკემბერს დილით პონომარენკო და მკვლელობის თანამონაწილე კესკიულა მივიდნენ ბოლქვაძესთან. როგორც კი გაიღო კარი, პონომარენკომ ბოლქვაძეს თავში დაარტყა აგური, რომელიც თან მიიტანა. ქალი დაეცა. მკვლელებმა მას ყელში წაუჭირეს კაშნე, შევიდნენ ოთახში, ჩაიკეტეს შიგნიდან კარი წინადღით გატაცებული გასაღებით, შეაგროვეს ძვირფასი ნივთები, შეუმჩნევლად გამოვიდნენ და კარი გამოიკეტეს.

მკვლელობის შემდეგ პონომარენკომ და კესკიულმა ღამე კელენჯერიძის ბინაზე გაატარეს, მეორე დილით კი გაემგზავრნენ კიროვაბადში, სადაც 1500 მანეთად გაჰყიდეს გატაცებული ნივთები. ნივთების ნაწილი იპოვნეს კელენჯერიძის ბინაზე.

გამოძიება მთავრდება.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის პარტკოლეგია საქართველოში სთხოვს ალექსანდრე ილიას-ძე ეგოროვს სამი დღის ვადაში გამოცხადდეს პარტკოლეგიაში (ძერჟინსკის ქ. № 8) ამხ. ბარსეგოვასთან.

პ.-მგ. რედაქტორის მოვალეობის
დრ. აღმსრულებელი
კ. შეროზია

ფილარმონია

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

31 დეკემბერს საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების სამმართველოს ორკესტრის

სიმფონიური კონცერტი

შოთა რუსთაველის პოემის „ვეფხის-ტყაოსნის“ დაწერის 750 წლის იუბილეს აღსანიშნავად.

ა. მელესიანი | ვ. გოკიელი

სახელმწიფო ოპერის სოლისტის ნ. ცომაიას მონაწილეობით პროგრამაში: ანდრიაშვილი, ი. გოკიელი, ლ. ფალიაშვილი

სახელმ. ოპერის მუდმივი ადგილები № 61 და საქფილეგოთის აკადემიური ბილეთები ძალაშია. დასაწყისი საღ. 9 საათზე.

17527

ესტრადის სახელმწიფო თეატრი
პლეხანოვის პროსპექტი, № 123, ტელეფონი 3-02-29

1 და 2 იანვარს

ესტრადის სახელმწიფო თეატრის

სეზონის გახსნა

8 განყოფილებად დასაწყისი საღ. სრულ 8 ს. 30 წ.

დაწვრილებით აფიშებში. მუდმივი ადგილების ტალონები ძალაშია.
1 იანვარს ტალონი № 1, 2 იანვარს ტალონი № 2. 1365

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1937—38 წ. სეზონი

30/XII	წარმოდგენა 62 გმირთა თაობა
1/I	წარმოდგენა 63 ალკაზარ
2/I	წარმოდგენა 64 ალკაზარ

სალარო ღიაა დღის 12 საათიდან.
დასაწყისი საღ. 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

30/XII წარმ. № 65	ფიგაროს ქორწინება
1/I წარმ. № 67	ფიგაროს ქორწინება

დასაწყისი საღამოს 8 საათზე
სალარო ღიაა დილ. 12-დან საღ. 9 ს-მდე.

ექიმი
მ. ბ. შახნაზაროვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა მიღება. კანის და ვენერიული სნეულებანი. მიღება დილით 10-დან 12½ ს-მდე, საღამოს—5-დან 9 ს მდე. კრასნოგორსკის ქ. № 33. შესავალი სადარბაზო კარიდან.

საქ. სსრ ფინსახკომი

აცხადებს, რომ საქ. სსრ რესპუბლიკის ყველა სახკომატებმა და ცენტრალურმა დაწესებულებებმა არა უგვიანეს 1938 წ. 10 იანვრისა

უნდა წარმოადგინონ საშტატო სამმართველოში (კეცხოველის, 7, ოთახი 13) ცენტრალური აპარატისა და ქვემდებარე ობიექტთა 1938 წ. შტატის პროექტი, ა. წ. 27 დეკემბრის № 12-01-01 დირექტივაში აღნიშნული ფორმის მიხედვით.

საქ. სსრ ფინ. სახალხო კომისრის
მოვალ. დრ. აღმსრ. ნარსია.
1362 საშტატო სამმართველოს უფროსი ახუმოვი.

სახცირკი. ტელ. 3-11-44 = დღეს, 30 დეკემბერს

დღისით ორი წარმოდგენა
დასაწყისი პირველისა 12 ს. მეორისა 2 ს. 30 წ.
მრავალფეროვანი პროგრამა.
სალარო ღიაა დილის 10 საათიდან.

საღამოს

უდიდესი ატრაქციონი
ლილიპუტების მუსიკალურ-ექსცენტრიული დასი
კინო-ჯაზი
აგრეთვე ცირკის მთელი დასი
ვრცელი პროგრამა 3 განყოფილებად
დასაწყისი საღ. 8 ს. 30 წ.

სახელმწიფო დაზღვევა

სახდაზღვევა აწარმოებს კოლმეურნეობათა და მშრომელთა ქონების ნებაყოფლობითს დაზღვევას.

კოლმეურნეობებს შეუძლიათ დააზღვიონ:
მარცვლოვანი, ცერცვოვანი და ტექნიკური კულტურები: ხეხილის ბაღების, ვენახების და კენკრის მოსავალი; ცხენები, ძროხები, წვრილფეხა საქონელი და სხვა ცხოველები; შენობები, მოწყობილობა, ინვენტარი და სხვა ქონება.

კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა, ერთპიროვნულ გლეხთა, მუშათა, მოსამსახურეთა და სხვა მოქალაქეთა
ქონება შეიძლება დაზღვეულ იქნას ნებაყოფლობითი წესით.

მუშებს, კოლმეურნეებს და მოსამსახურეებს შეუძლიათ დააზღვიონ საოჯახო ქონება.

ყოველგვარი ცნობებისა და განმარტებებისათვის შეიძლება მიმართოთ სახდაზღვევის სარაიონო და საქალაქო ინსპექციებს, აგრეთვე სახდაზღვევის აგენტებს და სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოებს.
საქართველოს სსრ სახდაზღვევის სამმართველო.
1360

კიროვის რაისაბჭოს საცხოვრებელ სახლთა სამმართველო აცხადებს

ყველა სავაჭრო-სამრეწველო ორგანოებისა და დარაბების დამქირავებლების საყურადღებოდ,

რომ 1938 წლის 1-ლი იანვრიდან, თანახმად საკავშირო ცაკის და სახკომსაბჭოს 17/X-ის დადგენილებისა, მათ უნდა გააფორმონ ახალი ხელშეკრულებები სამმართველოსთან და საიჯარო ქირა შემოტანილ უნდა იქნას სამმართველოს მიმდინარე ანგარიშზე კომბანკში № 297/647.

კიროვის რაიონის საბინაო მეურნეობის
17526 სამმართველოს უფროსი სარქისოვი.

პროფესორი გ. მ. მუხაძე
გადავიდა ახალ ბინაზე:
ყორღანოვის ქუჩა, № 24, საკუთარი სახლი. ტელეფონი № 3-25-77.
17528

ა. დ. ქლენჯი
შინაგანი სნეულებანი. სპეციალურად კუჭ-ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა-მკურნალობა. მიღება ყოველდღე 7—8 ს. ოთხშაბათობით უფასოდ.
მისამართი: წყნეთის ქ. № 8 17278

მისამართი: რედაქციის—თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34 ტელეფონები: სამდივნოსი: 3—?—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლოსამეურნეოს — 3—73—40, მუშკორთა წერილების—3—73—24, პ. მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობის ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული 15539—დ